ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 23 ნოემბერი, 2016 №278 (7203) ფასი: 50 თეთრი



პაატა შეშელიძე: „მთავრობის ახალი ეკონომიკური გუნდისადმი ოპტიმიზმის საფუძველი არ მაქვს“

გვ.6

22 ნოემბრიდან

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

ონორე დე ბალზაკი

მამა გორიო

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი



# ვიქტორ დოლიძე: „კაბელების საქმეზე აქედან უფრო მეტის გაკეთება შეგვიძლია“





არცერთ ჩემს ნაბიჯზე არ მწყდება გული და არ ვნანობ, რაც პოლიტიკაში გამიკეთებია აქამდე. გიორგი კვირიკაშვილთან და მის მთავრობასთან თანამშრომლობისთვის მზად ვიყავით, მიუხედავად იმისა, შევიდოდით პარლამენტში თუ არა.

გვ.2

## გიორგი კვირიკაშვილმა მინისტრების ახალი შემადგენლობა დაასახელა

## გიორგი ახვლედიანი: „ჩვენ ვიტყვით, როგორ გააყალბა ხელისუფლებამ არჩევნები“



არასაპარლამენტო ოპოზიცია ერთობლივი განცხადების გაკეთებას აპირებს

გვ.4

## ნინო გოგუაძე: „ვიქტორ დოლიძეს მოუწევს კითხვებზე პასუხების გაცემა“



„ჩემთვის წარმოუდგენელია, როგორ შეიძლება იმ ხელისუფლებასთან მუშაობა, რომელსაც პოლიტპატიმრები ჰყავს“

გვ.2

## ნაცმოძრაობა პატრიოტთა ალიანსის წინააღმდეგ







დაპირისპირება ნდობის ჯგუფის გამო

გვ.3

## 3 მილიონამდე პრემია

გვ.5

დანამატები კახეთის გამგეობებში 2015-2016 წლებში




ISSN 1987-9385



## რა ახალ საფრთხეს მოელიან ევროპაში რუსეთისგან

გვ.3



## რამდენს ხარჯავს ქუთაისის მერია სოციალურად დაუცველებსა და პიარზე

გვ.4

# ვიქტორ დოლიძე: „კაბელების საქმეზე აქედან უფრო მეტის გაკეთება შეგვიძლია“

## გიორგი კვირიკაშვილმა მინისტრების ახალი შემადგენლობა დაასახელა

ნათია ხურცილავა

**გუშინ, 22 ნოემბერს, მთავრობის ადმინისტრაციაში პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი კვირიკაშვილმა საზოგადოებას მინისტრთა კაბინეტის ახალი შემადგენლობა წარუდგინა.**

ცვლილება მხოლოდ სამ მინისტრს შეეხო, დანარჩენი სამინისტროების პირველი პირები უცვლელნი დარჩნენ. ცვლილება არ შეხებიათ ძალოვან მინისტრებს.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის თანამდებობაზე დიმიტრი ქუმსიშვილს გიორგი გახარია შეცვლის, ფინანსთა მინისტრის პოზიციაზე ნოდარ ხადურს ეკონომიკის უკვე ყოფილი მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი ჩაანაცვლებს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის თანამდებობაზე ნოდარ ჯავახიშვილს – ზურაბ ალავიძე. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის თანამდებობაზე დავით ბაქრაძეს ვიქტორ დოლიძე შეცვლის.

გიორგი კვირიკაშვილმა ყოფილ მინისტრებს მადლობა გადაუხადა და იქვე აღნიშნა, რომ ისინი მომავალში სახელმწიფო სამსახურში დასაქმდებიან.

კვირიკაშვილმა ვიქტორ დოლიძეს გუნდში დაბრუნება მიულოცა. მისი განცხადებით, ვიქტორ დოლიძეს აქვს კარგი კონტაქტები და დასავლური სამყარო იცნობს, როგორც გამოცდილ და კარგ დიპლომატს.

რაც შეეხება რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის თანამდებობაზე წარდგენილ ზურაბ ალავიძეს, გიორგი კვირიკაშვილის თქმით, ის არის ახალგაზრდა, ენერგიული მენეჯერი, რომელიც თავის საქმიანობას ძირითადად კერძო სექტორში წარმართავდა. ის იყო ეკონომიკის მინისტრის მოადგილეც.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პოსტზე წარდგენილი გიორგი გახარია, გიორგი კვირიკაშვილის შეფასებით, კვალიფიციური ეკონომისტია. გიორგი გახარია მე-9 მოწვევის პარლამენტის დეპუტატია.

პირველი ვიცე-პრემიერის თანამდებობას კვლავ დიმიტრი ქუმსიშვილი დაიკავებს, ვიცე-პრემიერი კი ისევ კახა კალაძე იქნება.

გიორგი კვირიკაშვილი:

– საქართველოს პარლამენტმა ახლა მხარი უნდა დაუჭიროს საქართველოს მთავრობის ახალ შემადგენლობას. ჩემი, როგორც მომავალი მთავრობის მეთაურის, უმთავრესი ამოცანაა, შევინარჩუნოთ და გავაძლიეროთ საქართველოში არსებული დემოკრატიული გარემო, უსაფრთხოების ხარისხი და, ამავდროულად, უზრუნველვყოთ ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური განვითარება. სწორედ ამ მიზნის მისაღწევად იქნა შემუშავებული რეფორმების ოთხპუნქტიანი გეგმა და სწორედ ამ რეფორმების ეფექტურად განხორციელების მიზნით პარლამენტს წარვუდგენ მინისტრთა კაბინეტის განახლებულ შემადგენლობას.



* * *

პრესისთვის გუშინ ყველაზე საინტერესო რესპონდენტი ვიქტორ დოლიძე იყო. მას ბევრ კითხვაზე მოუხდა პასუხის გაცემა, მათ შორის კაბელების საქმეზეც.

– არასდროს ჩემს ცხოვრებაში პრინციპებიდან, ღირებულებებიდან არ გადამიხვევია და არც ვაპირებ გადახვევას. მათ ოჯახებთან, პატიმრებთანაც არ დამიკარგავს კონტაქტი. რამდენიმე ხნის წინ მე თვითონ ვნახე ისინი და მათი აღქმა არის აბსოლუტურად ადეკვატური. კიდევ უფრო ბევრის გაკეთება შეგვიძლია იქიდან, სადაც ახლა ვართ.

რაც შეეხება ჩვენს წასვლას, არ ვიტყოდი, რომ ხმაურიანად წავედით. არცერთ ჩემს ნაბიჯზე არ მწყდება გული და არ ვნანობ, რაც პოლიტიკაში გამიკეთებია აქამდე. გიორგი კვირიკაშვილთან და მის მთავრობასთან თანამშრომლობისთვის მზად ვიყავით, მიუხედავად იმისა, შევიდოდით პარლამენტში თუ არა. ეს არის ადამიანი, რომელმაც ძალიან ბევრი გააკეთა და შეუძლია, კიდევ უფრო მეტი პოლიტიკურად გამართლებული და კულტურული ელემენტები შეიტანოს ქართულ პოლიტიკაში, რაც წაადგება იმ საქმეს, – განაცხადა ახალმა მინისტრმა.



მან გიორგი კვირიკაშვილის გადაწყვეტილებას უჩვეულო რეალობა უწოდა.

– მადლობა მინდა გადავუხადო პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს ამ გადაწყვეტილებისთვის. ერთგვარი უჩვეულო პოლიტიკური რეალობაა ქვეყანაში, კარგი გაგებით, როდესაც ყოფილ ოპოზიციონერს მთავრობაში ეპატიჟებიან და ეს ძალიან მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი განაცხადია, პირველ რიგში, როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ასევე ჩემი მხრიდან, როდესაც ჩვენ სახელმწიფოებრივად ვუდგებით ამ საკითხს, – განაცხადა ვიქტორ დოლიძემ.

ფინანსთა მინისტრობის კანდიდატმა დიმიტრი ქუმსიშვილმა საკადრო ცვლილებები არ გამორიცხა.

– საკადრო ცვლილებებს ვაპირებ. ცოტა მოგვიანებით იქნება შესაძლებელი, ამ საკითხზე უფრო კონკრეტულად ვისაუბრო, – განაცხადა მან.

# ნინო გოგუაძე: „ვიქტორ დოლიძეს მოუწევს კითხვებზე პასუხების გაცემა“



## „ჩემთვის წარმოუდგენელია, როგორ შეიძლება იმ ხელისუფლებასთან მუშაობა, რომელსაც პოლიტპატიმრები ჰყავს“

თავისუფალი დემოკრატების პოლიტიკურ მდივან ნინო გოგუაძეს ყოფილ თანაგუნდელ ვიქტორ დოლიძესთან კითხვები აქვს.

როგორც ვიქტორ დოლიძის მინისტრის პოსტზე დასახელების შემდეგ ნინო გოგუაძემ ნიუპოსტს განუცხადა, საინტერესოა დოლიძის პოზიცია, კვლავ თვლის თუ არა, რომ პროკურატურა პოლიტიზებულია.

– ძალიან ბევრ კითხვას დავსვამ ამ საკითხზე, რომელიც არა მარტო ჩვენ, არამედ საზოგადოებასაც გაუჩნდება. 2014 წელს ჩვენ კოალიცია „ქართული ოცნება“ შემდეგი მოტივით დავტოვეთ: პოლიტიკურმა პროკურატურამ განახორციელა შეტევა თავისუფალი დემოკრატების ლიდერზე და 5 უდანაშაულო ადამიანი დააპატიმრა. ქვეყანაში დღესაც გვყავს პოლიტიკური პროკურატურა, ეს ადამიანები ისევ პოლიტპატიმრები არიან. ძალიან მაინტერესებს, რა შეიცვალა ვიქტორ დოლიძისთვის? – კითხულობს ნინო გოგუაძე.

მისი თქმით, თუ ვიქტორ დოლიძე აღიარებს, რომ ეს ადამიანები უდანაშაულოდ არიან ციხეში, მაშინ გაუგებარია, როგორ დაბრუნდა ამ ხელისუფლებაში მინისტრის თანამდებობაზე.

– ეს თანამდებობა, სხვათა შორის, პროტესტის ნიშნად დატოვა ბუკა პეტრიაშვილმა. იმის შემდეგ დემოკრატიული პროცესები ამ სახელმწიფოში კი არ განვითარდა, არამედ კიდევ უფრო შესუსტდა. სწორედ ამ პროცესის შემდეგ სასამართლო მურუსიძეს, როგორც დამორჩილებული, პოლიტიკური სასამართლო, ისე ჩაბარდა, ისეთი კანონმდებლობა მიიღეს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო პრაქტიკულად გააუქმეს. მედიაშიც მიმდინარე პროცესები, ნამდვილად არ მიანიშნებს ხელისუფლების დემოკრატიულ ხასიათზე, – აღნიშნავს ქ-ნი გოგუაძე.

მისთვის წარმოუდგენელი და გაუგებარია, როგორ შეიძლება იმ ხელისუფლებაში თანამდებობის დაკავება, რომლის პრინციპულ და ღირებულებით ოპოზიციაში იყავი სულ რაღაც ერთი თვის წინ.

მისი თქმით, ფაქტი, რომ დოლიძე აღარ არის თავისუფალი დემოკრატების წევრი, არ ათავისუფლებს მას წარსულისგან.

– ერთი თვის წინ ჩვენ ერთად ვიბრძოდით ამ ხელისუფლების ოპოზიციაში. კითხვები ჩვენთან, თავისუფალ დემოკრატებთან აღარ არის, კითხვები არის ბატონ ვიქტორთან, მას მოუწევს ამ კითხვებზე პასუხების გაცემა, რაც იოლი ნამდვილად არ იქნება, – განმარტავს თავისუფალი დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი.

გოგუაძე აცხადებს, რომ სხვის პრინციპებზე ვერაფერს იტყვის.

– ეტყობა, ეს პრინციპებიც ინდივიდუალურია. ჩემთვის მართლა წარმოუდგენელია, როგორ შეიძლება იმ ხელისუფლებასთან მუშაობა, რომელსაც პოლიტპატიმრები ჰყავს, – აცხადებს ნინო გოგუაძე.

**ნიუპოსტი**

# ეკა ბესელია: „ვიქტორ დოლიძის მინისტრობა ნიშნავს, რომ მთავრობა მმართველი პარტიის ფარგლებში არაა ჩაკეტილი“



დეპუტატ ეკა ბესელიას განცხადებით, ევროინტეგრაციების საკითხებში სახელმწიფო მინისტრობის კანდიდატად ვიქტორ დოლიძის წარდგენა კარგი მაგალითია იმისა, რომ ხელისუფლება მხოლოდ მმართველი პარტიის ფარგლებში არაა ჩაკეტილი.

მისივე თქმით, მართალია, დოლიძე ოპოზიციურ ძალას წარმოადგენდა, მაგრამ მას დიპლომატიური მიმართულებით ძალიან კარგი გამოცდილება აქვს.

– ეს არის ძალიან კარგი ნაბიჯი და ეს არის ძალიან კარგი განაცხადი. ეს არის ადამიანი, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციურ პარტიას წარმოადგენდა, ჰქონდა და აქვს ძალიან კარგი გამოცდილება ევროპულ სტრუქტურებში მუშაობის, დიპლომატიური მიმართულებით მუშაობის.

ძალიან კარგად უძღვებოდა ევროინტეგრაციის კომიტეტს, მე ვფიქრობ, რომ ძალიან კარგი მაგალითია იმისია, რომ ჩვენი მთავრობა არაა ჩაკეტილი მმართველი პოლიტიკური პარტიის ფარგლებში. ვფიქრობ, ეს არის ის პოზიტივი, რომელზეც ძალიან თამამად შეგვიძლია ვისაუბროთ დღეს, – განაცხადა ეკა ბესელიამ.

**ნიუსპრესი**

# აჭარის უმაღლესი საბჭოს პირველი სხდომა 28 ნოემბერს გაიმართება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პირველი სხდომა 28 ნოემბერს გაიმართება.

ამის შესახებ ყოველკვირეულ ბრიფიგნზე პრეზიდენტის პრესსპიკერმა ეკა მიშველაძემ განაცხადა.

– საქართველოს პრეზიდენტმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პირველი სხდომის მოწვევის თარიღად 2016 წლის 28 ნოემბერი განსაზღვრა. აღნიშნული განკარგულება კონტრასიგნაციისთვის საქართველოს მთავრობას 23 ნოემბერს გადაეგზავნა, – აღნიშნა მიშველაძემ.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ნაცმოძრაობა პატრიოტთა ალიანსის წინააღმდეგ

## დაპირისპირება ნდობის ჯგუფის გამო

შორენა მარსაგიშვილი

**პარლამენტში ემზარ კვიციანის მოხვედრა ნაცმოძრაობამ უკვე მონათლა კატასტროფად. ახლა მთელი პარტია იმის მტკიცებაზეა გადასული, რომ მისი ნდობის ჯგუფში მოხვედრა ქვეყნის უსაფრთხოებისთვის სახიფათო იქნება.**

ნდობის ჯგუფში ოპოზიციისთვის ერთი კვოტაა. ამ ადგილის მოსაპოვებლად ნაციონალები და პატრიოტთა ალიანსი იბრძვიან. ალიანსის კანდიდატურა ემზარ კვიციანია, ნაციონალების ფალავანი კი ირაკლი აბესაძე გახლავთ.

ირაკლი აბესაძის განცხადებით, კვიციანის ნდობის ჯგუფში შესვლა ქვეყნისთვის ძალიან საშიში იქნება. დეპუტატის თქმით, თუ ასე მოხდა, „ქართულ ოცნებას" პოლიტიკური პასუხისმგებლობა დაეკისრება.

მისივე განმარტებით, იმ ადამიანებმა, რომლებსაც ხელი მიუწვდებათ საიდუმლო ინფორმაციაზე, შემოწმება უნდა გაიარონ.

– იმისთვის, რომ ნდობის ჯგუფში საქართველოს პარლამენტის დეპუტატი განმწესდეს, აუცილებელია, გაიაროს სპეციალური შემოწმება სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების შესახებ. აქედან გამომდინარე, მთლიანად „ქართული ოცნების" პოლიტიკური გადაწყვეტილება და პოლიტიკური პასუხისმგებლობა არის, იქნება თუ არა ნდობის ჯგუფში ემზარ კვიციანი და თვლიან თუ არა ისინი, რომ შესაძლებელია, მას ჰქონდეს დაშვება სახელმწიფო საიდუმლოებასთან, სახელმწიფო საიდუმლო შესყიდვებთან თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულებით, – განაცხადა აბესაძემ.



ოთარ კახიძეს სიზმარშიც კი არ უნდა იმის წარმოდგენა, რომ კვიციანს, შესაძლოა, საიდუმლო დოკუმენტებზე ჰქონდეს წვდომა. მისი თქმით, ეს ყველა პატრიოტი მოქალაქის პრობლემა შეიძლება გახდეს.



პატრიოტთა ალიანსის წევრის კანდიდატურას კახიძე რამდენიმე მიზეზის გამო ეწინააღმდეგება. მისი თქმით, კვიციანმა 2006 წელს მოაწყო ამბოხი და სამთავრობო სტრუქტურებს შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია. დეპუტატი ამბობს, რომ ალიანსის ერთ-ერთმა ლიდერმა თავისი სიმართლე ვერსად დაამტკიცა.

– ემზარ კვიციანმა გაუწია შეიარაღებული წინააღმდეგობა ქართულ სახელმწიფო საჯარისო დანაყოფებს, რისთვისაც ის მსჯავრდებულია და მას ეს სასჯელი არ აქვს გაქარწყლებული. მან შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევის შემდგომ თავი შეაფარა ოკუპირებულ აფხაზეთს და შემდგომ იმყოფებოდა მოსკოვში, საიდანაც ქართული სახელმწიფოსთვის დამაზიანებელ განცხადებებს აკეთებდა და ამ პოზიციებით იყო გამორჩეული.

კვიციანის ნდობის ჯგუფში შეყვანა, სადაც მას საიდუმლო მასალებზე წვდომა ექნება, პრობლემაა არა ჩემთვის და ნაციონალური მოძრაობისთვის, არამედ ეს ამ სახელმწიფოს თითოეული პატრიოტი მოქალაქის პრობლემა იქნება, – აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბარში კახიძემ.

პარლამენტის ვიცესპიკერი, „ქართული ოცნების" ერთ-ერთი ლიდერი გია ვოლსკი მიიჩნევს, რომ საიდუმლო ინფორმაციების შენახვით არც ნაციონალები გამოირჩეოდნენ.

– ნდობის ჯგუფს საიდუმლო ინფორმაციის მოძრაობაზე გავრცელებაზე სერიოზული კონტროლი აქვს. საშიშროებასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით ნაციონალური მოძრაობა დიდი სიკეთით არ გამოირჩეოდა, ასევე შეიძლება პრეტენზიები ჰქონდეს პატრიოტთა ალიანსთან მიმართებით. საბოლოო გადაწყვეტილება, რეალური ვითარებიდან გამომდინარე, უნდა მიიღოს კომიტეტმა, – განაცხადა გია ვოლსკიმ.

ემზარ კვიციანს ნაციონალების მიერ ატეხილ ხმაურზე თავისი შეხედულება აქვს. ის მიიჩნევს, რომ ნაციონალებს მათ მიერ ჩადენილი ცოდვების ეშინიათ.

– ჩემი კი არა, თავიანთი წარსულის ეშინიათ. წარსულს არც ადრე გაჰქცევია ვინმე და ვერც მომავალშიც შეძლებს ვინმე ამის გაკეთებას. ამიტომ ვიყავი წარსულში უბედურების ჟამს ბედნიერი, განსხვავებით ამ ხალხისგან, რომ ჩემი სიმართლის იმედით ვცხოვრობდი. იმედი არასდროს მტოვებდა, რომ აუცილებლად დადგებოდა სამართლიანობის დღე, – ამბობს „ახალ თაობასთან" კვიციანი.



მისი თქმით, ის ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ 2006 წლის კოდორის მოვლენები გამოძიებულ იქნეს.

– ძალიან სასაცილოა, როცა ნაციონალები 2006 წლების მოვლენების გამო მიყენებენ ბრალდებებს. ჩვენ ვაპირებთ, დავაყენოთ დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხი, რომელიც სწორედ 2006 წლის მოვლენებს შეისწავლის. მაშინ ვნახავთ, ვისი ბრალეულობის საკითხი დადგება. მე ქვეყნის ინტერესებისთვის არასდროს მიღალატია, ამათ კი პირდაპირ მტერს გადასცეს ტერიტორიები. ასე რომ, ისინი სხვებზე არ უნდა ლაპარაკობდნენ. შესაბამისად, ნდობის ჯგუფში ნაციონალების მოხვედრაა საშიში და არა ჩემი, – აღნიშნავს პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი.

მისი თქმით, სავარაუდოდ, 24 ნოემბერს გაირკვევა, თუ ვინ მოხვდება ნდობის ჯგუფში.

---

## ივან ლიბერმანი: „სააკაშვილისთვის უკრაინის მოქალაქეობის ჩამორთმევა სამართლებრივად შესაძლებელია"



იურისტ ივან ლიბერმანის განცხადებით, სამართლებრივად, მიხეილ სააკაშვილისთვის უკრაინის მოქალაქეობის ჩამორთმევა სავსებით შესაძლებელია, მით უმეტეს, რომ საქართველოს ექსპრეზიდენტს უკრაინის მოქალაქეობა კანონდარღვევებით მიენიჭა.

ლიბერმანის განცხადებით, საქმე შემდეგშია:

– მიხეილ სააკაშვილი ჯერ კიდევ საქართველოს მოქალაქე იყო, როცა მან უკრაინის მოქალაქეობა მიიღო, რაც კანონით აკრძალულია. ანუ ჩადენილ იქნა კანონდარღვევა, რადგან უკრაინის კანონმდებლობით, სხვა ქვეყნის მოქალაქეს უკრაინის მოქალაქეობა მიღება არ შეუძლია.

გარდა ამისა, მას არ უცხოვრია უწყვეტად 5 წელი უკრაინის ტერიტორიაზე და არ გაუვლია ყველა ის აუცილებელი პროცედურა, რაც საჭიროა მოქალაქეობის მისაღებად (მაგალითად, ბინადრობის მოწმობა) და ა.შ. მას არ შეუსწავლია უკრაინული ენა, კანონი კი ენის სრულყოფილად ფლობას მოითხოვს; მას არ ჩაუბარებია შესაბამისი გამოცდები.

გარდა ამისა, მიხეილ სააკაშვილი ეჭვმიტანილია სისხლის სამართლის სხვადასხვა დანაშაულის ჩადენაში და იძებნება. უკრაინის კანონმდებლობით, თუ პიროვნება ეჭვმიტანილია მძიმე დანაშაულის ჩადენაში, ეს გარემოებაც კი საკმარისია, რომ მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე იქნას აღძრული იმის დასადგენად, რამდენად მართლზომიერად მისცეს მას უკრაინის მოქალაქეობა.

სასამართლოს 99%-ით შეუძლია ამ ფაქტების დადგენა. და თუ ეს ფაქტები დადგენილი იქნება, მაშინ წარდგენილი იქნება მეორე სარჩელი მიხეილ სააკაშვილისთვის უკრაინის მოქალაქეობის შეჩერების თაობაზე. თუ სასამართლო სარჩელს დააკმაყოფილებს, ამ შემთხვევაში ექსპრეზიდენტის საქართველოში ექსტრადირება შესაძლებელი იქნება, – აცხადებს იურისტი.

**ნიუსპრესი**

---

## რამდენს ხარჯავს ქუთაისის მერია სოციალურად დაუცველებსა და პიარზე

შორენა მარსაგიშვილი

**ახალ წლამდე ცოტა დრო დარჩა და ხელისუფლებაც საახალწლო ფუსფუსში გადავარდა. ამ მხრივ ყველაზე ადრე თადარიგი ქუთაისის მერიამ დაიჭირა. ქუთათურებმა გადაწყვიტეს, განსაკუთრებულად გაალამაზონ ქალაქი.**



როგორც „ახალი საქართველოს" ერთ-ერთი ლიდერი „ახალ თაობასთან" საუბარში აცხადებს, ქუთაისის მერიამ ქალაქის საახალწლო განათებისთვის 100.000– ლარიანი ტენდერი გამოაცხადა.

– ძალიან კარგია, რომ ქალაქის გალამაზებას აპირებენ, მაგრამ თითქმის არაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ახალი წელი გაჭირვებულ ადამიანებსაც გაულამაზონ. კარგია განათებული ქუჩა, მაგრამ ის ცარიელ მაცივარს ვერ გაავსებს, – ამბობს ხაბეიშვილი.

მისი თქმით, ქუთაისში 2.807 ოჯახია სოციალურად დაუცველი. ქალაქის მერიამ გამოაცხადა ტენდერი, რომლის თანახმადაც, მოხდება ამ ოჯახებისთვის საახალწლო საჩუქრების შეძენა.

– ამ ტენდერის ღირებულება არის 70.000 ლარი. გამოდის, რომ სოციალურად დაუცველი თითოეული ოჯახის სასაჩუქრე კალათის შესაძენად მხოლოდ 20 ლარი დაიხარჯება, – აღნიშნავს „ახალი საქართველოს" ლიდერი.

მისი თქმით, 20-ლარიანი სასაჩუქრე კალათა ამ ოჯახების დაცინვაა.

– ყველამ კარგად ვიცით, თუ როგორ არის ფასები გაზრდილი. საახალწლოდ კი ეს ფასები კიდევ უფრო გაიზრდება. 20 ლარად კალათების შეძენაც კი რთული იქნება, არამცთუ იქ ჩასაწყობი პროდუქციის. ჩემი აზრით, ეს არის სოციალურად დაუცველი ოჯახების დაცინვა. მოვუწოდებ ქუთაისის მერიას, 20 ლარად თავიანთ ოჯახებს უყიდონ საახალწლო საჩუქრები, – აცხადებს „ახალი საქართველოს" ერთ-ერთი ლიდერი.

ლევან ხაბეიშვილი განსაკუთრებით იმის გამოა აღშფოთებული, რომ ქუთაისის მერია პიარსა და სატელევიზიო ეთერში სარეკლამო ვიდეორგოლის განთავსებაში 80.000 ლარს დახარჯავს.

– გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვაში ნათქვამია, რომ შემსრულებელს ბოლო ორი წლის განმავლობაში ქუთაისში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების ვიდეორგოლის განთავსება საკუთარ სატელევიზიო სივრცეში ევალება, – ამბობს ხაბეიშვილი.

---

## გიორგი მარგველაშვილი: „საკონსტიტუციო ცვლილებებზე მომუშავე კომისიის ფორმატი ეჭვს ბადებს"



საქართველოს პრეზიდენტი საკონსტიტუციო ცვლილებებზე მომუშავე კომისიის ფორმატის საკითხს ეხმიანება და აცხადებს, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების შეტანა მაღალი საზოგადოებრივი ჩართულობით უნდა ხდებოდეს, მაღალი ლეგიტიმაციისა და ნდობის უზრუნველყოფით.

ამის შესახებ ტრადიციულ ყოველკვირეულ ბრიფინგზე პრეზიდენტის პრესსპიკერმა ეკა მიშველაძემ განაცხადა.

– ეს არის კონსტიტუციური მაქსიმა და არა ვინმეს კეთილი ნება. სწორედ ამიტომ, პრეზიდენტმა საზოგადოებას სამუშაო ჯგუფის განსხვავებული ფორმატი შესთავაზა, ხელისუფლების უმაღლესი პირების თანათავმჯდომარეობით და ვენეციის კომისიის ჩართულობით, რათა პროცესს მაღალი ლეგიტიმური დაცულობისა და სანდოობის წინაპირობა ჰქონოდა.

სამწუხაროდ, ეს ფორმატი მმართველი გუნდის მიერ უარყოფილ იქნა, რაც, პრეზიდენტის აზრით, ამ პროცესის მიუკერძოებლობის მიმართ ეჭვებს აღრმავებს, – განაცხადა მიშველაძემ.

**მედიანიუსი**

---

## პარლამენტში უმრავლესობას გუგული მაღრაძე, დავით მათიკაშვილი და გიორგი ხატიძე შეუერთდებიან

პარლამენტში თანაგუნდელებს „ქართული ოცნების" წევრები გუგული მაღრაძე, დავით მათიკაშვილი, გიორგი ხატიძე შეუერთდენიან.

მმართველი გუნდის ეს 3 წევრი საკანონმდებლო ორგანოში პროპორციული სიით პარლამენტში მოხვედრილი „ქართული ოცნების" იმ 3 წარმომადგენლის უფლებამონაცვლე იქნება, რომლებიც მთავრობაში დაიკავებენ პოზიციებს.



უკვე ცნობილია, რომ პარლამენტის მიერ მთავრობის დამტკიცების შემდეგ კახა კალაძე ენერგეტიკის მინისტრის პორტფელს ჩაიბარებს და ამავდროულად ვიცეპრემიერის პოზიციას დაიკავებს, ეკონომიკის მინისტრის თანამდებობას დაიკავებს გიორგი გახარია, მთავრობის მეთაური კი „ქართული ოცნების" ლიდერი გიორგი კვირიკაშვილი იქნება.

**მედიანიუსი**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# გიორგი ახვლედიანი: „ჩვენ ვიტყვით, როგორ გააყალბა ხელისუფლებამ არჩევნები“

ნონა ცაბაძე



## არასაპარლამენტო ოპოზიცია ერთობლივი განცხადების გაკეთებას აპირებს

**არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიები ერთობლივი განცხადების გაკეთებას გეგმავენ. ისინი 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებს შეაფასებენ.**

როგორია მათი პოზიცია ამ საკითხზე? „ახალი თაობის“ კითხვებს გიორგი ახვლედიანი პასუხობს.

***– ბატონო გიორგი, თუ დასრულდა კონსულტაციები ოპოზიციურ პარტიებს შორის და რა სახის გადაწყვეტილება მიიღეთ?***

– კონსულტაციები პრაქტიკულად დასრულებულია. ტექსტი, რომელიც ერთობლივად ხელმოწერილ უნდა იქნას ოპოზიციური პარტიების მიერ და შეფასება გაკეთდეს ამ საპარლამენტო არჩევნების მიმართულებით, პრაქტიკულად შეჯერებულია, მცირედი დეტალიზაცია სჭირდება, გადაგზავნილია პოლიტიკურ პარტიებში და საბოლოო კორექტირება კეთდება. ჩვენ მას გავაჟღერებთ ხუთშაბათს, ერთობლივ პრეზენტაციაზე.

***– მანამდე იქნებ გვითხრათ, ზოგადად რა საკითხებზე იქნება საუბარი ერთობლივ განცხადებაში?***

– აქ არის საუბარი იმ ტექნოლოგიებსა და მეთოდებზე იმ ტოტალური გაყალბებისა, რომელიც გამოყენებული იქნა არჩევნების ფალსიფიცირებისთვის. აქ არის საუბარი, თუ როგორ ხდებოდა არჩევნების წინა პერიოდში პროცესებზე ზემოქმედება, როგორ არ გაითვალისწინა ხელისუფლებამ და არ შეასრულა თავისივე დანაპირები და არ შეცვალა საარჩევნო სისტემა. როგორ მოახდინა პოლიტიკური პარტიებისთვის ძალიან სერიოზული რესურსების წართმევა, როგორ მოახერხა თვითონ არჩევნების დღეს ფალსიფიცირება ბიულეტენების და საერთოდ როგორ ჩაატარეს 2016 წლის 8 ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნები ძალოვანმა უწყებებმა და სუსმა. როგორ იყო ზეწოლა მოხდენილი სასამართლოზე, რომელმაც არ დაუშვა, რომ არჩევნების შემდეგ ერთი უბანი მაინც გახსნილიყო.

***– ნინო ბურჯანაძე ითხოვდა უბნების გახსნას?***

– დიახ და ამ თემაზე ჩვენ არაერთი სასამართლო გავიარეთ. ასევე სხვა პოლიტიკურმა პარტიებმაც დააყენეს დღის წესრიგში ეს საკითხი არაერთხელ.

***– დაახლოებით რამდენი პარტია გაერთიანდით ამ საკითხის გარშემო?***

– ათზე მეტი ვიქნებით, ვინც შევჯერდებით ხელმოწერაზე და შემდეგ ეს დოკუმენტი იქნება ღია და ყველა მსურველს შეუძლია შემოუერთდეს.

***– როდესაც საუბრობთ ამ დონის გაყალბებაზე, ზეწოლებზე და ასე შემდეგ, სად არიან საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც დადებით დასკვნებს დებენ და არჩევნებს წარმატებულს უწოდებენ?***

– მოდით, სიმართლე ვთქვათ და საერთაშორისო ორგანიზაციები არცთუ ისე წარმატებულ არჩევნებად მოიხსენიებენ 2016 წლის არჩევნებს. ძალიან მოკრძალებულები და კორექტულები არიან თავიანთ შეფასებებში.

***– რატომ, ვისი ან რისი ერიდებათ, რომ თქვან სიმართლე?***

– არ ვიცი. მე მარტო ენდიაის გაგახსენებთ, რაც ძალიან ნათელი მაგალითი იყო შეფასებით ნაწილში ამ არჩევნების. მათი პირველი შეფასება იყო ძალიან მკაფიო და კონკრეტული.

***– თუმცა შემდეგ შეცვალეს საკუთარი პოზიცია.***

– მათი პირველი რეაქცია იყო ძალიან ობიექტური და სამართლიანი. მათ თქვეს, რომ თუ არ მოხდება ამ დარღვევების გამოკვლევა და მათზე რეაგირება, მაშინ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება ეს არჩევნები. თუმცა შემდეგ ენდიაის დაუცაცხანეს ამერიკის საელჩოდან, უთხრეს, ეს რეებს ლაპარაკობთო, როგორ შეიძლება ასეთი განცხადებების კეთება ჩვენთან შეუთანხმებლადო და შემდეგ მათ მოუწიათ სრულიად აბსურდული განცხადების გაკეთება. დაიბნენ, აღარ იცოდნენ, როგორ გამომძვრალიყვნენ სიტუაციიდან და ისეთი რამე თქვეს, რომ სასაცილოც არ არის!

***– ანუ რა პოზიცია აქვთ საერთაშორისო ორგანიზაციებს?***

– ფაქტია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებმა, ევროსაბჭოში გაკეთებულმა განცხადებებმაც დაადასტურა, რომ საკმაოდ კრიტიკული თვალით უყურებენ ამ ყველაფერს და ამას განცხადებებშიც ამბობენ შეპარვით და კორექტულად. ამ ყველაფერს კი ძალიან კონკრეტული მიზეზი აქვს.

***– რა მიზეზზე საუბრობთ?***

– ჩვენ პრაქტიკულად ყველა ორგანიზაციაში, დაახლოებით 5 ათას მისამართზე, გადავაგზავნეთ ის მასალები, რომლებიც შეეხებოდა ამ გაყალბებას, ეს დოკუმენტური მასალა გადავუგზავნეთ ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას. შესაბამისად, მათ მიიღეს სრული ინფორმაცია, რეალურად რა მოხდა ქვეყანაში. ის კრიტიკული განწყობები, რომლებიც სხვადასხვა სტრუქტურაში შეიქმნა, სწორედ ამ ობიექტური მასალების მიწოდების შედეგად გახდა შესაძლებელი.

***– როდესაც თქვენ გააჟღერებთ ამ ერთობლივ დოკუმენტს, ამის შემდეგ როგორი იქნება ამ პარტიების სამოქმედო გეგმა? რას აპირებთ?***

– ვაპირებთ, რომ დავიწყოთ საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებით ერთობლივი მუშაობა. შეიქმნება სამუშაო ჯგუფი ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების მიერ. შეიქმნება საკოორდინაციო საბჭო, რომელიც დააყენებს ძალიან კონკრეტულ მოთხოვნებს. პარლამენტში ორი კანონპროექტი დევს საარჩევნო სისტემის ცვლილებასთან დაკავშირებით და მოვითხოვთ, რომ სასწრაფოდ დაიწყოს მათი განხილვა.

ხელისუფლებას ერთი წუთითაც არ მიეცემა იმის კომფორტი, რომ ამ თემაზე ზეწოლა არ ჰქონდეს. ეს საკითხი ძალიან სერიოზულად დადგება. გარდა ამისა, სერიოზული სამუშაო გვაქვს ადგილობრივ არჩევნებთან დაკავშირებით.

***– რამდენად მოესწრება ეს ცვლილებები ადგილობრივ არჩევნებამდე?***

– ჩვენ ძალიან მოქნილ, მკაფიო, კონკრეტულ საარჩევნო სისტემას შევიმუშავებთ, რომელიც ადგილობრივ არჩევნებზე უნდა იყოს მორგებული. ამას არ სჭირდება საკონსტიტუციო ცვლილებები, იმიტომ, რომ კონსტიტუციაში ადგილობრივ არჩევნებზე არაფერი წერია. აქ საკმარისი იქნება ძალიან კონკრეტული რეგულაციების შემუშავება უკვე საარჩევნო კოდექსში.

# სახელმწიფო დაფინანსებას 20 პარტია მიიღებს, რაც, ჯამში, 9 მილიონზე მეტს შეადგენს



სახელმწიფო დაფინანსებას 20 პარტია მიიღებს, რაც, ჯამში, 9 მილიონზე მეტს შეადგენს. კვალიფიციური სუბიექტის სტატუსის მქონე პარტიების რაოდენობა, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებას მიიღებენ, 11-დან 20-მდე გაიზარდა.

უფრო კონკრეტულად, ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიას განკარგულებით, სახელმწიფოსგან დაფინანსდებიან შემდეგი პარტიები: საქართველოს კონსერვატიული პარტია – წლიური დაფინანსება – 236.572 ლარი, მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს – წლიური დაფინანსება 536.572 ლარი, საქართველოს რესპუბლიკური პარტია – წლიური დაფინანსება – 236.572 ლარი, ეროვნული ფორუმი – წლიური დაფინანსება – 236.572 ლარი, საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია – 598.698 ლარი, ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო – 2.082.238 ლარი, თავისუფალი დემოკრატები – 512.196 ლარი, საქართველოს ლეიბორისტული პარტია – 472.812 ლარი, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – 1.122.526 ლარი, ევროპული საქართველო – 895.726 ლარი, დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო – 241.625 ლარი, გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა – 997.037 ლარი, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი – 744.008 ლარი, ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი – 87.024 ლარი, თავისუფალი საქართველო – 87.024 ლარი, თავისუფლება – ზვიად გამსახურდიას გზა, – 87.024 ლარი, საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა – 87.024 ლარი, ახალი ქრისტიან-დემოკრატები – 87.024 ლარი, მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის – 195.511 ლარი, სამოქალაქო პლატფორმა – ახალი საქართველო – 195.511 ლარი.

ჯამში, აღნიშნული 20 პარტია სახელმწიფო ბიუჯეტიდან 9.739.296 ლარს მიიღებს.

– „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონით დადგენილი წესის გათვალისწინებით, აქამდე დაფინანსებას 11 პარტია იღებდა და კვალიფიციური სუბიექტის სტატუსსა და დაფინანსებას 11-ვე ინარჩუნებს. ეს პარტიებია: „ქართული ოცნება“, კონსერვატიული პარტია, მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, რესპუბლიკური პარტია, თავისუფალი დემოკრატები, ეროვნული ფორუმი, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ქრისტიან-კონსერვატიული პარტია, გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა, პატრიოტთა ალიანსი და ლეიბორისტული პარტია.

**ინტერპრესნიუსი**



# გიორგი კახიანი: „მრეწველებს საპარლამენტო ფრაქციის დაფინანსება ეკუთვნით“

პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი კახიანი მიიჩნევს, რომ მრეწველთა პარტიას კანონით ეკუთვნის თანხა, რომელსაც ის საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნება – მრეწველების“ მეშვეობით სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიღებს.

– კანონმდებლობის მიხედვით, ამა თუ იმ პარტიას, რომელიც არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობს და არჩევნების შედეგად პარლამენტში ფრაქციის შექმნას ახერხებს, ფრაქციის შექმნისათვის გამოყოფილი დაფინანსება ეკუთვნის. მრეწველთა წარმომადგენელი არჩევნებში დამოუკიდებლად იღებდა მონაწილეობას. მან ერთ-ერთ მაჟორიტარულ ოლქში გაიმარჯვა და მოხდა მრეწველთა ფრაქციის შექმნა.

თუ რეალობასა და კანონის მოთხოვნებს ერთმანეთს დავუკავშირებთ, მრეწველებს შესაბამისი დაფინანსება ეკუთვნით, – განუცხადა ჟურნალისტებს გიორგი კახიანმა.

დაფინანსების სიდიდის მიხედვით, მრეწველები პარტიებს შორის მე-7 ადგილზე აღმოჩნდნენ და ამით თავისუფალმა დემოკრატებმა ცესკოში წევრი დაკარგეს.

**ინტერპრესნიუსი**

# რა ახალ საფრთხეს მოელიან ევროპაში რუსეთისგან

მარიამ მჭედლიშვილი

**„ახალი თაობა“ წერდა იმის შესახებ, რომ საქართველოში, უკრაინასა და ესტონეთში ტურნეს გეგმავენ ამერიკელი კონგრესმენები. მათ შორის არიან სენატორები ჯონ მაკკეინი და ლინდსი გრემი. ისინი ეცდებიან, დაარწმუნონ ევროპელი პარტნიორები, რომ ვაშინგტონი მზადაა, შეეწინააღმდეგოს რუსეთის აგრესიას.**

მათი ვიზიტი გამოხატავს ამერიკული პოლიტიკური ელიტის ნაწილის პოზიციებს. დონალდ ტრამპის საგარეო პოლიტიკურ გეგმებში ისევ ბევრი რამაა გაურკვეველი. უცნობია მისი დამოკიდებულება საქართველოსა და უკრაინის მიმართ. დონალდ ტრამპს ამაზე არ უსაუბრია თავის 100-დღიან გეგმებშიც.

რუსეთთან ურთიერთობების მოგვარების საკითხი, რაზეც ტრამპს არაერთხელ უსაუბრია, ისევ უთანხმოებას იწვევს. ამ გეგმებს ამერიკაში ყველაზე აქტიურად ეწინააღმდეგებიან რესპუბლიკელი სენატორები მაკკეინი და გრემი და დემოკრატი ბენ კარდინი. ისინი აცხადებენ, რომ რუსეთი არღვევს საერთაშორისო ნორმებს. ამიტომ მის მიმართ რეაქცია მკაცრი უნდა იყოს. სენატორ კარდინს აშფოთებს მაიკლ ფლინის კავშირები რუსეთთან. მაიკლ ფლინი მოიაზრება აშშ-ის უშიშროების საბჭოს მრჩევლად.

რუსეთის მიმართ მკაცრი პოლიტიკის მომხრე ამერიკელი კანონმდებლები აპირებენ მთელი რიგი კანონპროექტების მიღებას რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ.

ფაინენშელ თაიმსის ცნობით, უკრაინის პრეზიდენტი პოროშენკო ხუთშაბათს ბრიუსელს ეწვევა. მისი მიზანია, უზრუნველყოს უკრაინისთვის 600 მილიონი ევროს გადმოცემა, უკრაინის მოქალაქეებისათვის უვიზო რეჟიმის სქემის შემოღება და კიევსა და ევროკავშირს შორის სავაჭრო თავდაცვითი ხელშეკრულების დადება.

ამავე გამოცემის თქმით, უცნობია ვაშინგტონის მომავალი ადმინისტრაციის დამოკიდებულება კიევის მიმართ. პრეზიდენტი ობამა დაეთანხმა სანქციების გაგრძელებას რუსეთის მიმართ, მაგრამ არავინ იცის, რა იქნება დონალდ ტრამპის ინაუგურაციის შემდეგ.

დანიური მედია წერს რუსეთის ახალ დამპყრობლურ გეგმებზე. რუსეთმა თავისი ჰაკერული თავდასხმებით გავლენა მოახდინა აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებზე. მოსალოდნელია ასევე რუსეთის ჩარევები გერმანიასა და საფრანგეთში ანგელა მერკელის წინააღმდეგ და მარინ ლე პენის მხარდასაჭერად.

გარდა ამისა, რუსეთის ფედერაცია სხვანაირადაც ცდილობს ევროპის ქვეყნებზე გავლენის მოპოვებას. ეს ხდება ხშირად ბლოგებისა და საიტების მეშვეობით, რომლებიც დეზინფორმაციას ავრცელებენ.

მაგალითად, ჩეხეთში საზოგადოებას არწმუნებენ, თითქოს იქ დიდი უკმაყოფილებაა გაზრდილი მიგრაციის გამო, იმ დროს, როცა ჩეხეთში მიგრანტები არ არიან. კეთდება პროგნოზები, რომ ეს უკმაყოფილება აისახება მომავალი არჩევნების შედეგებზე.



დეზინფორმაციის აღსაკვეთად ჩეხეთში სპეციალური ქვედანაყოფია შექმნილი.

დანიელი ექსპერტების აზრით, რუსეთი რბილი ძალის გამოყენებით ერევა სხვა ევროპული ქვეყნების საქმეებში და ცდილობს მათ დაყოფასა და დასუსტებას.

ბლუმბერგის სიტყვებით, ბარაქ ობამა წინააღმდეგობას არ გაუწევს დონალდ ტრამპს. მართალია, ობამამ გააკრიტიკა ტრამპი მიგრაციისა და თავისუფალი ვაჭრობის შემზღუდავი გეგმების გამო, მაგრამ იგი მასთან ომს არ აპირებს.

– პრეზიდენტი ბუში ჩემ მიმართ მოწყალე იყო, როცა თეთრ სახლში მოვედი. ორი თვის განმავლობაში ვაპირებ, დავამთავრო სამუშაო, წავიყვანო მიშელი შვებულებაში და დრო გავატარო ჩემს გოგონებთან. რაღაცას დავწერ, რაღაცაზე ვიფიქრებ კიდეც, – განაცხადა ბარაქ ობამამ.

– თუ 20 იანვრის შემდეგ განხორციელდა ადრე გაცხადებული გეგმები, ისინი არ მოეწონება წამსვლელ დემოკრატიულ ისტებლიშმენტს, – ასკვნის გამოცემა.

# 3 მილიონამდე პრემია

## დანამატები კახეთის გამგეობებში 2015-2016 წლებში



**კახეთის საინფორმაციო ცენტრის მოკვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ყველაზე მეტ პრემია-დანამატებს თანამდებობის პირები ქალაქ თელავის მერიასა და ახმეტის გამგეობაში იღებენ.**

საინფორმაციო ცენტრების ქსელმა პირველ სექტემბერს კახეთის რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტებიდან გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია გამგეობების (მერიის) ცალკეულ თანამდებობის პირებსა და სხვა საჯარო მოხელეებზე 2015 წლის 1 იანვრის შემდეგ გაცემული პრემიებისა და დანამატების შესახებ.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, პრემია ფულად წახალისებას გულისხმობს და მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში შეიძლება გაიცეს (სამსახურებრივ მოვალეობათა სანიმუშო შესრულება; ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახური, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის დავალების შესრულება), ხოლო დანამატი მოიცავს არასამუშაო საათებში, სადღესასწაულო და დასვენების დღეებში ზეგანაკვეთური მუშაობისათვის განკუთვნილ დამატებით საზღაურს.

მუნიციპალიტეტების გამგეობებიდან (მერიიდან) ინფორმაცია მოთხოვნილ იქნა შემდეგ საკითხებზე:

1. 2015 წლის 1 იანვრიდან დღემდე რა ოდენობის თანხა იქნა გაცემული პრემიის და დანამატის სახით მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირებზე; გთხოვთ თითოეულ შემთხვევაში პერსონალურად მიუთითოთ: თანამდებობის პირის ვინაობა და დაკავებული თანამდებობის დასახელება; პრემიის (დანამატის) ოდენობა და გაცემის თარიღი; პრემიის (დანამატის) გაცემის სამართლებრივი საფუძველი;

2. 2015 წლის 1 იანვრიდან დღემდე რა ოდენობის თანხა იქნა გაცემული პრემიის და დანამატის სახით მუნიციპალიტეტის გამგეობის სხვა საჯარო მოსამსახურეებზე; გთხოვთ, მიუთითოთ გაცემული პრემიისა და დანამატის ჯამური ოდენობა (ცალ-ცალკე) გამგეობის/მერიის ცალკეული სამსახურების მიხედვით, პრემიის და დანამატის გაცემის თარიღი; პრემიის (დანამატის) გაცემის სამართლებრივი საფუძველი.

ინფორმაცია კანონით დადგენილ მაქსიმალურ, 10-დღიან ვადაში მოგვაწოდეს გურჯაანის, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის გამგეობებმა.

განცხადების კითხვარის შესაბამისად, ზუსტი ინფორმაცია მივიღეთ მხოლოდ გურჯაანისა და საგარეჯოს გამგეობებიდან. დანარჩენ შემთხვევაში საჯარო მოხელეებზე გაცემული პრემია-დანამატების ოდენობა მითითებულია მხოლოდ ჯამური თანხით.

ამასთან, მუნიციპალიტეტების ნაწილმა ცალ-ცალკე არ მიუთითა გაცემული პრემიებისა და დანამატების ოდენობა, ასევე მათი გაცემის სამართლებრივი საფუძვლები (ახმეტის გამგეობა, ქალაქ თელავის მერია). გარდა ამისა, ქალაქ თელავის მერიამ წერილობით ინფორმაციაში პერსონალურად არ ასახა კონკრეტული თანამდებობის პირებისა და ცალკეული სამსახურების მოხელეთა მიერ მიღებული თანხის ჯამური ოდენობები.

საჯარო ინფორმაცია მხოლოდ ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შემდეგ გასცა ახმეტის გამგეობამ. პასუხი ამ დაწესებულებიდან მივიღეთ 2016 წლის 11 ნოემბერს. თუმცა, გამგეობიდან გამოგზავნილი წერილი დათარიღებულია 14 სექტემბრით და რეგისტრაციაშიც იმავე დღეს არის გატარებული.

* * *

კახეთის რეგიონის ცალკეული მუნიციპალიტეტების აღმასრულებელ დაწესებულებებში (გამგეობა/მერია) 2015 წლის 1 იანვრის შემდეგ გაცემული პრემიებისა და დანამატების ჯამური ოდენობა ასე გამოიყურება:

თელავის (თემი) გამგეობა – 624.707 ლარი
გურჯაანის გამგეობა – 368.937 ლარი
სიღნაღის გამგეობა – 344.204 ლარი
ყვარლის გამგეობა – 342.150 ლარი
ქ. თელავის მერია – 329.400 ლარი
ახმეტის გამგეობა – 297.690 ლარი
საგარეჯოს გამგეობა – 297.330 ლარი
დედოფლისწყაროს გამგეობა – 280.413 ლარი
ლაგოდეხის გამგეობა – 267.510 ლარი.

საერთო ჯამში კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების გამგეობებსა და ქალაქ თელავის მერიაში თანამდებობის პირებსა და სხვა მოხელეებზე 2015 წლის 1 იანვრის შემდეგ პრემია-დანამატების სახით გაცემულია 2.822.941 ლარი.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ თანახმად, მუნიციპალიტეტის გამგეობის/მერიის თანამდებობის პირები არიან: გამგებელი/მერი, მათი პირველი მოადგილე და მოადგილეები, სტრუქტურული ერთეულების (სამსახურების) ხელმძღვანელები.

მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციების შესაბამისად, 2015 წლის 1 იანვრის შემდეგ თანამდებობის პირებზე გაცემულია შემდეგი ოდენობის პრემია და დანამატი:

ქალაქ თელავის მერია – 108.000 ლარი (32,8%)
ახმეტის გამგეობა – 81.550 ლარი (27,4%)
თელავის (თემი) გამგეობა – 81.010 ლარი (12,9%)
სიღნაღის გამგეობა – 72.750 ლარი (21,1%)
ყვარლის გამგეობა – 71.550 ლარი (20,9%)
გურჯაანის გამგეობა – 56.525 ლარი (15,3%)
დედოფლისწყაროს გამგეობა – 55.000 ლარი (19,6%)
ლაგოდეხის გამგეობა – 46.950 ლარი (17,5%)
საგარეჯოს გამგეობა – 41.050 ლარი (13,8%).

პროცენტული თანაფარდობის თვალსაზრისით, ყველაზე მეტ პრემია-დანამატებს თანამდებობის პირები იღებენ ქალაქ თელავის მერიასა (32,8%) და ახმეტის გამგეობაში (27,4%), ყველაზე ნაკლებს კი თელავის გამგეობასა (12,9%) და საგარეჯოს გამგეობაში (13,8%).

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კახეთის რეგიონში შემავალ მუნიციპალიტეტებში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, თანამდებობის პირებსა და სხვა მოხელეებზე ძირითადად გაიცემა პრემიები, რომელთა გაცემაც თითქმის ყველა შემთხვევაში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ხდება სადღესასწაულო თარიღებთან დაკავშირებით (ახალი წელი, აღდგომა, მარიამობა, გიორგობა, ნათლისღება) და, როგორც წესი, საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ ყველა საჯარო მოსამსახურეზე.

რაც შეეხება დანამატებს, მათი ხვედრითი წილი შედარებით უმნიშვნელოა. ზოგიერთ მუნიციპალიტეტში დანამატების გაცემის შემთხვევას ადგილი საერთოდ არ ჰქონია (გურჯაანი, დედოფლისწყარო, ლაგოდეხი, საგარეჯო), ხოლო სიღნაღის გამგეობაში დანამატი არ გაცემულა თანამდებობის პირებზე.

დანამატების შესახებ კონკრეტული ინფორმაცია არ გასცეს ახმეტის გამგეობამ და ქალაქ თელავის მერიამ.

* * *

კახეთის რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში გამგებლის თანამდებობრივი სარგო შეადგენს 2.650 ლარს. გამონაკლისია მხოლოდ დედოფლისწყარო, სადაც გამგებლის ხელფასი განსაზღვრულია 2.500 ლარით. ქალაქ თელავის მერის თანამდებობრივი სარგოს ოდენობაა 2.750 ლარი.

ცალკეული მუნიციპალიტეტების გამგებლების მიერ 2015 წლის 1 იანვრის შემდეგ მიღებული პრემიების ჯამური ოდენობა ასეთია:

დავით ჯანიკაშვილი (სიღნაღი) – 13.250 ლარი (პრემია)
ილია მზექალაშვილი (ყვარელი) – 12.720 ლარი (პრემია)
ალექსანდრე შათირიშვილი (თელავის თემი) – 10.600 ლარი (პრემია და დანამატი)
ნიკოლოზ ჯანიაშვილი (დედოფლისწყარო) – 10.000 ლარი (პრემია)
გივი გერგიძე (გურჯაანი) – 9.275 ლარი (პრემია)
ბექა ბაიდაური (ახმეტა) – 7.950 ლარი (პრემია)
კარლო ჯამბურია (ლაგოდეხი) – 7.950 ლარი (პრემია)
გიორგი გზირიშვილი (საგარეჯო) – 7.950 ლარი (პრემია).

ქალაქ თელავის მერიის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში მერის პლატონ კალმახელიძის მიერ მიღებული პრემიის და დანამატის ოდენობა პერსონალურად არ არის მითითებული.

ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შესაბამისად, მარტო 2015 წლის განმავლობაში პლატონ კალმახელიძის მიერ მიღებული პრემია-დანამატის ოდენობამ 8.250 ლარი შეადგინა.

---

მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეებმა ყველაზე მეტი პრემია და დანამატი ახმეტასა და თელავში მიიღეს.

ახმეტის გამგებლის პირველმა მოადგილემ ვანო ნასყიდაშვილმა პრემია-დანამატის სახით მიიღო 14.800 ლარი, თელავის გამგებლის პირველმა მოადგილემ დავით ნაპირელმა – 12.350 ლარი. 10.400 ლარის პრემია-დანამატი აქვს მიღებული ახმეტის გამგებლის მოადგილეს დავით ფოცხვერიშვილს, ხოლო იმავე გამგებლის კიდევ ერთ მოადგილეს თამაზ ქავთარაშვილს – 9.750 ლარი. თელავის გამგებლის მოადგილე ზურაბ სვიმონიშვილმა 8.450 ლარის ოდენობით პრემია და დანამატი მიიღო.

ყვარლის გამგებლის პირველმა მოადგილემ ოთარ ბუჯიაშვილმა და გამგებლის მოადგილე მალხაზ ხიზანიშვილმა მიიღეს 7.540 ლარი პრემია, ხოლო იმავე გამგებლის მოადგილემ ქეთევან ზაუტაშვილმა – 6.625 ლარი.

6.500 ლარის ოდენობით პრემიები მიიღეს გურჯაანის გამგებლის მოადგილე ალექსანდრე ყვირალაშვილმა, ასევე სიღნაღისა და დედოფლისწყაროს გამგებლების ყველა მოადგილემ;

გურჯაანის გამგებლის მოადგილე დიმიტრი კალატოზიშვილს პრემიის სახით მიღებული აქვს 5.825 ლარი; ლაგოდეხის გამგებლის პირველ მოადგილე გიორგი ბოკერიას – 5.200 ლარი.

ქონებრივი დეკლარაციების მიხედვით, ნაწილობრივ მოხერხდა ქალაქ თელავის მერის მოადგილეების მიერ მიღებული პრემია-დანამატების ოდენობის დადგენა.

გამოირკვა, რომ მხოლოდ 2015 წელს მერის მოადგილემ ლევან ლილუაშვილმა მიიღო 9.128 ლარი, მერის პირველმა მოადგილე თენგიზ მთვარელიშვილმა – 7.500 ლარი, ხოლო მოადგილე ალექსანდრე საჩიშვილმა – 6.600 ლარი.

გამგებლის მოადგილეებზე ყველა მცირე ოდენობის პრემია – თითოეულზე 3.900 ლარი – გაცემულია საგარეჯოს გამგეობაში.

* * *

სამსახურის უფროსების წახალისების პრაქტიკა კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებში არაერთგვაროვანია. მუნიციპალიტეტების ერთი ნაწილი ამ თანამდებობის პირთა პრემირებას ახორციელებს თანაბრობის პრინციპით. მაგალითად, დედოფლისწყაროში ყველა სამსახურის უფროსს პრემიის სახით მიღებული აქვს 6.000 ლარი, სიღნაღში – 5.000 ლარი, საგარეჯოში – 3.000 ლარი.

განსხვავებული ტენდენცია შეინიშნება სხვა მუნიციპალიტეტებში, სადაც ზოგიერთი სამსახურის ხელმძღვანელები სხვებთან შედარებით გაცილებით მეტ პრემია-დანამატს იღებენ.

ამ თვალსაზრისით ყველაზე კონტრასტული ვითარებაა ახმეტის გამგეობაში. მაგალითად, ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა გიორგი ქორეულაშვილმა მიიღო პრემია-დანამატი 7.000 ლარის ოდენობით, მაშინ, როდესაც ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსს ნათელა ექვთიმიშვილს მხოლოდ 2.050 ლარი აქვს მიღებული.

სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელთა შორის, მთლიანად კახეთის რეგიონის მასშტაბით, ყველაზე მეტი პრემია და დანამატი მიღებული აქვს თელავის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროს მიხეილ შაშიაშვილს – 9.500 ლარი, საიდანაც დანამატის თანხა შეადგენს 3.500 ლარს. იმავე გამგეობაში 7.725 ლარი მიიღო ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა ნინო აფციაურმა (აქედან დანამატია 3.500 ლარი).

ამ შემთხვევაშიც ქონებრივი დეკლარაციების შესაბამისად იქნა დადგენილი ქალაქ თელავის მერიის სამსახურის უფროსების მიერ მიღებული პრემია-დანამატების ოდენობა.

2015 წელს ყველაზე მეტი თანხა მერიის ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი კიკნაძემ მიიღო – 8.940 ლარი, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ნათია ვაყელიშვილმა – 7.206 ლარი.

4.470 ლარი მიიღეს ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა ალექსი აგურაშვილმა და შიდა აუდიტის სამსახურის უფროსმა ვახტანგ პაატაშვილმა.

სხვა სამსახურების ხელმძღვანელებს მიღებული აქვთ შედარებით ნაკლები ოდენობით პრემია-დანამატი.

*კახეთის საინფორმაციო ცენტრი*

# ვახტანგ აბაშიძე: „თუ ჩემი ქმედებითა თუ უმოქმედობით ქონებრივ დეკლარაციაში განზრახ არასრული ან არასწორი მონაცემების შეტანა დადასტურდება, მზად ვარ, პასუხი ვაგო“




გაზეთ „ახალ თაობაში“ დაიბეჭდა სტატია კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ აბაშიძის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ.

ვახტანგ აბაშიძემ რედაქციას განმარტებითი წერილით მიმართა, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

გავეცანი თქვენს პუბლიკაციას (კახეთის საინფორმაციო ცენტრის მასალაზე დაყრდნობით) და შევეცდები განვმარტო, რა ინფორმაციას „ვუმალავ“ საზოგადოებას ნებსით თუ უნებლიეთ.

1. ვადასტურებ, რომ წლების მანძილზე ვარ ორი საწარმოს – შპს „ოპტიმა მენეჯმენტის“ და შპს „დეგაპრინტ+“-ის პარტნიორი (მითითებულია ჩემს ქონებრივ დეკლარაციაში), რომელთა საქმიანობა არ განეკუთვნება კომუნიკაციების ეროვნული კომისიის რეგულირების სფეროს.

2014 წლის აპრილის თვეში კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრად არჩევის შემდეგ აღარ ვასრულებ შპს „ოპტიმა მენეჯმენტის“ დირექტორის მოვალეობას, რაც, სამწუხაროდ, არ არის ასახული სამეწარმეო რეესტრის მონაცემებში.

2. რაც შეეხება ჩემი ზრდასრული შვილების ჩართულობას სამეწარმეო საქმიანობაში, რის თაობაზეც თქვენი პუბლიკაციიდან შევიტყვე, დავადგინე, რომ: შპს „დვერტუს“-ს, რომლის 33% წილის მფლობელია ანდრია აბაშიძე და შპს „უნივერსალ ბიზნეს ჯგუფს“, რომლის 33-33% წილის მფლობელები არიან ანდრია და ლევან აბაშიძეები, დღიდან დაარსებისა აქტივობა არ განუხორციელებიათ და არანაირი შემოსავალი არ მიუღიათ (დაინტერესების შემთხვევაში გადამოწმება შესაძლებელია).

თქვენს პუბლიკაციაში დასახელებული კიდევ ერთი კომპანია, შპს „ედ პლუსი“, რომლის 100% წილის მფლობელი და დირექტორია ანდრია აბაშიძე, 2016 წლის 8 ნოემბერს არის დარეგისტრირებული და, შესაბამისად, ინფორმაცია მის შესახებ ჩემს 2015 წლის ქონებრივ დეკლარაციაში ვერც აისახებოდა.

თუ ჩემი ქმედებით თუ უმოქმედობით ქონებრივ დეკლარაციაში განზრახ არასრული ან არასწორი მონაცემების შეტანა დადასტურდება, მზად ვარ, პასუხი ვაგო კანონმდებლობის შესაბამისად.

მადლობას მოგახსენებთ ყურადღებისთვის.

*პატივისცემით, ვახტანგ აბაშიძე*

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

**მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6**
**☎ 577-29-37-41, 247-58-83**

# პაატა შეშელიძე: „მთავრობის ახალი ეკონომიკური გუნდისადმი ოპტიმიზმის საფუძველი არ მაქვს“

ნონა ცაბაძე



**რას სიახლეებს ველოდებით ეკონომიკური კუთხით? რამდენად იძლევა მთავრობის ახალი შემადგენლობა ოპტიმიზმის საფუძველს? „ახალი თაობის“ ამ და სხვა კითხვებს პაატა შეშელიძე პასუხობს.**

*– ბატონო პაატა, ცვლილებები განხორციელდა ეკონომიკურ გუნდში. როგორია თქვენი შეფასებები, რას ელოდებით, რამდენად ოპტიმისტური განწყობა დაგეუფლათ?*

– გამომდინარე იქიდან, რომ ეს გუნდი შეეცდება გაატაროს ის გაცხადებული პოლიტიკა, რაც ჰქონდათ, ოპტიმისტური ვერ ვიქნები. ერთადერთი იმედი მაქვს, რომ ცხოვრება მისცემს ბიძგს და უფრო რეალისტურები იქნებიან და საარჩევნო დაპირებებს არ გადააყოლებენ დარჩენილ ეკონომიკას.

*– რას იტყვით ახალ სახეებზე. თუნდაც გიორგი გახარიაზე, რომელიც ეკონომიკის მინისტრის პოსტზეა წარდგენილი?*

– გახარიას კანდიდატურა ჩემთვის ბევრად უფრო კომფორტულია, ყოველ შემთხვევაში, ამ გადასახედიდან. ის იყო ბოლო პერიოდში ეკონომიკური საბჭოს ხელმძღვანელი და მისი ფუნქცია იყო ამ ცუდი ინიციატივების გაცხრილვა და პრაქტიკულად ბლოკავდა ბევრ ინიციატივას, რომლებიც ეკონომიკურ მდგომარეობას აშკარად გააუარესებდა. თუმცა მას იმ პოზიციაზე არ ჰქონდა რაღაც რადიკალური ეკონომიკური რეფორმების ინიცირების საშუალება.

*– რომ ჰქონოდა, გაატარებდა?*

– ნამდვილად იგრძნობოდა ის, რომ მას ამის სურვილი და ინტერესი ჰქონდა. ახალ პოზიციაზე მას გაცილებით მეტი ასპარეზი ექნება, მაგრამ საბოლოო სიტყვა მაინც მას არ ეკუთვნის. აქედან გამომდინარე, რამდენად გარისკავს, აიღებს თავის თავზე პასუხისმგებლობას, ვერ გეტყვით. ზოგადად მნიშვნელოვან არსებით ცვლილებებს ვერ ვხედავ. პირიქით, იქნება დაცურება სახელმწიფო ხარჯების გაზრდისკენ.

*– ხადური შეცვალა ქუმსიშვილმა, ეს ცვლილება რას მოგვიტანს?*

– არც არაფერს! ისეთივე ნაკლებად სახეირო იქნება, როგორც ეკონომიკის სამინისტროში იყო. მისი მინისტრობის პირობებში პრაქტიკულად შეჩერებული იყო პრივატიზება, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის მიწების მიმართულებით. როდესაც ლაპარაკობს ქვეყანა, რომ უნდა განავითაროს სოფლის მეურნეობა და ამ დროს მიწების პრივატიზება შეჩერებულია, ე.ი. რაღაცა პრობლემა გაქვს, რაღაც წინააღმდეგობაა.

*– ლარი კვლავ უფასურდება. რამდენად წავა ჩვენი ეკონომიკა გაუარესებისკენ? კიდევ უფრო ხომ არ გართულდება ცხოვრება რიგითი მოქალაქეებისთვის?*

– როდესაც ოფიციალური განცხადებები მიგვანიშნებს იქითკენ, რომ მთავრობა არ აღიარებს თავის შეცდომებს და კიდევ უარესი, მას არც ესმის, რომ შეცდომები დაუშვა, კარგს არ უნდა ველოდოთ. რადიკალური ცვლილებები არ განხორციელებულა. ერთი სკამიდან მეორეზე გადაჯდომა რადიკალურს არ ნიშნავს. არც ერთი არ არის ქუჩიდან მოსული, ყველა იქ იყო და ყველა პასუხისმგებელია იმაზე, რაც აქამდე ხდებოდა.

*– ანუ დიდ სიახლეებს არ ელით?*

– მე ოპტიმიზმის საფუძველი არ მაქვს. ერთადერთი ის არის, რომ ადრე თუ გვიან მიხვდებიან, რომ უნდა შეცვალონ დამოკიდებულება. თუ დააკვირდებით, წინა მთავრობაშიც ასე იყო. ჯერ ერთი პრემიერ-მინისტრი ჰყავდათ, მერე მეორე და სანამ მესამე არ მოვიდა, ვერ მიხვდნენ, რომ თავის ნათქვამი უკანვე უნდა წაეღოთ და ბევრი დაპირება, რომელიც იყო დამღუპველი, აღარ განხორციელდა.

იმედია, ახლაც გაიაზრებენ. ოღონდ ეს გააზრება უფრო სწრაფად უნდა მოხდეს, რადგან ამდენი დრო აღარ არის.

# საქართველოში ტაქსის კიდევ ერთი რუსული კომპანია შემოდის

## სპეციალისტები ბაზრის მონოპოლიზების საფრთხეზე საუბრობენ




იანდექს ტაქსის შემდეგ საქართველოს ბაზარზე კიდევ ერთი რუსული კომპანია „ტრანსსოფტი“ გეგმავს შემოსვლას.

კომპანიას საქართველოს საავტომობილო გადაზიდვების სერვისის განვითარება სურს. კომპანიის პრეზიდენტმა როდიონ ოტლეტოვმა სპუტნიკს განუცხადა, რომ საქართველოში გეგმავს ბიზნეს-პარტნიორის მოძიებას იმისთვის, რომ ტაქსის მომსახურების შეკვეთა საიტის, ან აიფონისა და ანდროიდის მოწყობილობების შემთხვევაში უბერის მსგავსი აპლიკაციით გახდეს შესაძლებელი.

მისი თქმით, „ტრანსსოფტი“ ფლობს ტექნოლოგიას, რომლის განვითარებაც სურს საქართველოში. სერვისი იყენებს პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, მომხმარებელთან უახლოესი ტაქსი იქნას გაშვებული.

ტრანსპორტის სფეროს წარმომადგენლები რუსული ტაქსის კომპანიების მიერ ბაზრის მონოპოლიზების საფრთხეზე საუბრობენ.

ტრანსპორტის პროფკავშირების ხელმძღვანელი ლავრენტი ალანია რადიო „კომერსანტთან“ საუბრისას აცხადებს, რომ „ტრანსსოფტს“ დიდი შესაძლებლობა გააჩნია, კომპანიის წარმომადგენლები იყვნენ საქართველოში და გაეცნონ გარემოს. ალანია ამბობს, რომ კომპანია ახალი კომფორტული მანქანებით შემოვა და ეს ბაზარზეც აისახება.

მისივე თქმით, ამ პროცესს სავარაუდოდ სფეროში რეგულაციების დაწესებაც მოჰყვება. ალანიას განმარტებითვე, რეგულაციები აუცილებელია, თუმცა კომპანიებს დრო უნდა მივცეთ, რომ შეძლონ მოთხოვნების დაკმაყოფილება.

– ამ ბიზნესში დღეს ათასობით ადამიანია დასაქმებული, თუ ჩვენ მივცემთ ვადებს და გავუწერთ, რა არის საჭირო, ისინი შეძლებენ დააკმაყოფილონ სტანდარტები და თანაბარ კონკურენციაში იყვნენ, – აცხადებს ალანია.

* * *

ტაქსის კომპანია 200-200-ის ხელმძღვანელი ნიკა ხოფერია „კომერსანტთან“ ამბობს, რომ დღეს ბაზარზე თითქმის ყველა კომპანია უბერის სისტემას იყენებს და ეს ბაზრისთვის სიახლე არაა. ამასთან, მისივე თქმით, „იანდექსი“ ბაზარზე დემპინგური ფასებით შემოვიდა და ცდილობს ადგილობრივი კომპანიები გააკოტროს, შემდეგ მაღალი ფასებით თავად დარჩეს ბაზარზე.

ხოფერია ამბობს, რომ მერია მუშაობს რეგულაციებზეც და პირველ ეტაპზე საუბარი მიდის აღრიცხვაზე, რა რაოდენობის ტაქსი მოძრაობს ქალაქში.

ხოფერიას თქმითვე, გარკვეული რეგულაციები საჭიროა, თუმცა ბაზარი თავადაც ახდენს რეგულირებას, რადგან მგზავრები კომფორტული ავტომობილების სასარგებლოდ აკეთებენ არჩევანს.

ტაქსის კომპანიის ხელმძღვანელი დასძენს, რომ „იანდექსის“ შემოსვლამ მნიშვნელოვნად დააზარალა კომპანიები და რას მოიტანს ახალი კომპანიის გამოჩენა ბაზარზე, რთული სათქმელია.

# ლარი გაუფასურდა

ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებაში გაუფასურდა.

დღეიდან 1 დოლარის ოფიციალური ფასი 2.4978 ლარი გახდება. კურსი, რომელიც გუშინ მოქმედებდა, 2.4903 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0.0075 ლარი შეადგინა.

ეროვნული ვალუტის კურსი ევროსთან მიმართებაში მცირედით გაუფასურდა.

კერძოდ, დღეიდან 1 ევროს შეძენა 2.66602 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ, როცა გუშინ მოქმედი კურსი 2.6497 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებაში 0.0105 ლარი შეადგინა.

# ქუმსიშვილი: „ამოცანა არ არის ლარის კურსის დევნა“

– ამოცანა არ არის ლარის კურსის დევნა, ამოცანა არის დამოკიდებულების შეცვლა, რომ ჩვენს მოსახლეობას ლარის კურსის ცვლილებასთან ერთად არ ეცვლებოდეს ის განკარგვადი შემოსავალი, რაც მათ რჩებათ გადასახადების და სესხის მომსახურების გადახდის კვალდაკვალ.

ამის შესახებ ჟურნალისტებს ფინანსთა მინისტრობის კანდიდატმა დიმიტრი ქუმსიშვილმა განუცხადა.

მისივე თქმით, ამ პოლიტიკას ფინანსთა სამინისტრო ეროვნულ ბანკთან ერთად განახორციელებს.

– მე დიდი იმედი მაქვს, რომ ძალიან მალე ის ზომები, რომელთა გატარებასაც ჩვენ ამ მიმართულებით ვაპირებთ, აუცილებლად გახდება საჯარო. არის მსოფლიოში რამდენიმე ძალიან კარგი მაგალითი, თუ როგორ მოახერხეს ქვეყნებმა დოლარიზაციის დაძლევა და, ამავე დროს,



როგორ მოახერხეს იმ სოციალური წნეხის მოშორება, რომელიც დღეს ჩვენს ქვეყანას გააჩნია, – განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

**ბიპიენი**

# საქართველოს ბანკის ჯგუფი „ფარმადეპოს“ ყიდულობს




საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი სააფთიაქო ქსელის „ფარმადეპოს“ შეძენას გეგმავს.

ამის შესახებ ინფორმაცია თავად კომპანიამ გაავრცელა.

მისი ცნობით, შეთანხმებას ხელი უკვე მოეწერა და ახლა საჭიროა, რომ დასტური კონკურენციის სააგენტოსგანაც მიიღონ.

გარიგების დასრულება 2017 წლის იანვარში იგეგმება.

ჯანდაცვის ჯგუფი „ფარმადეპოსა“ და „ჯიპისის“ სააფთიაქო ქსელის გაერთიანებას გეგმავს, რის შედეგადაც ახალი კომპანია „ჯორჯიან ფარმასი“ შეიქმნება.

ახალი კომპანიის 67%-იანი წილის მფლობელი საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი იქნება, ხოლო 33%-იანი წილი „ფარმადეპოს“ მთავარი აქციონერების, მიხეილ აბრამიძისა და ენრიკო ბერიძის საკუთრებაში დარჩება.

ჯანდაცვის ჰოლდინგი „ფარმადეპოს“ 25 მილიონ დოლარად ყიდულობს. გარიგების მიხედვით, ამ თანხის გადახდა 5 წლის განმავლობაში მოხდება.

საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი „სამედიცინო კორპორაცია „ევექსს“ და სადაზღვევო კომპანია „იმედი ელს“ მართავს და ქვეყანაში სამედიცინო დაზღვევისა და ჯანდაცვის სერვისების ყველაზე მსხვილი მიმწოდებელია.

* * *

დღეს საქართველოში თითქმის ყველა მიმართულების ექსპერტი თანხმდება, რომ კომერციული ბანკები არაპროფილურ ბიზნესში არ უნდა შედიოდნენ. იმის გამო, რომ დღეს ბანკების მიერ შექმნილი ჯგუფები არაერთ ბიზნესს ფლობენ, იმის გამო, რომ ქვეყნის მთლიანი ეკონომიკა პრაქტიკულად, 2 ლიდერი ბანკის ხელშია, სხვა ბიზნესი ვერ ვითარდება, კომერციული ბანკების ასეთი საქმიანობა ბიზნესს დივერსიფიცირების საშუალებას არ აძლევს.

ამ ყველაფრის ფონზე კი „საქართველოს ბანკის“ ჯგუფი ფარმაცევტული ბაზრის სერიოზული მოთამაშე ხდება.

საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი (ევექსი) ფარმადეპოს შესყიდვის შემდეგ ქვეყანაში ყველაზე მსხვილი მოთამაშე ხდება სააფთიაქო ბაზარზე.

ჯორჯიან ფარმასის მფლობელობაში საქართველოს მასშტაბით 230 სააფთიაქო ქსელი იქნება.

* * *

აღნიშნული გარიგება მოულოდნელი არ ყოფილა კონკურენტი კომპანიებისთვის. სპეციალისტები კი თვლიან, რომ ამ გამსხვილების შემდეგ არსებული მოთამაშეები კონკურენციას ვერ გაუძლებენ.

ასეთ სიტუაციაში ჩვენთვის გაუგებარია ხელისუფლების დამოკიდებულება, ერთი მხრივ, თითქოს მთავრობაში ამბობენ, რომ ბანკები არ უნდა იყვნენ არაპროფილურ ბიზნესში, მეორე მხრივ კი ვხედავთ, რომ კომერციული ბანკები არაპროფილურ ბიზნესში შესასვლელად ახალ-ახალ გარიგებებს დებენ.

სააფთიაქო ბაზარზე ახალი მოთამაშის გამოჩენის შემდეგ კომპანია „პსპ“ -ს დამფუძნებელი კახა ოქრიაშვილი განსაკუთრებულ ცვლილებებს არ ელოდება. რადიო „კომერსანტთან“ საუბარში ოქრიაშვილი ამბობს, რომ „ევექსმა“ წლის დასაწყისში უკვე იყიდა „ჯიპისი“ და ამ პერიოდის განმავლობაში „ჯიპისი“ და „ფარმადეპო“ ისედაც შეთანხმებულად მოქმედებდნენ, ახლა უბრალოდ ოფიციალურად ხდება გაცხადება.

მისივე თქმით, „პსპ-ს“ ქსელში 185 აფთიაქი აქვს და მიაჩნიათ, რომ ეს რაოდენობა საკმარისია.

– ჩვენ რებრენდინგი გავაკეთეთ და უფრო შინაარსობრივად ვიცვლებით და არა რაოდენობრივად. დღეს „პსპ“-ს ჯგუფს ბაზარზე ყველაზე დიდი ბრუნვა აქვს, – აცხადებს ოქრიაშვილი.

ბიზნესსამართლის სპეციალისტ აკაკი ჩარგეიშვილის განმარტებით, სააფთიაქო ბიზნესში მსხვილი საბანკო ჯგუფის შესვლა ნიშნავს, რომ არსებული მოთამაშეები ვერ გაუძლებენ კონკურენციას, რადგან საქართველოს ბანკი უპირატეს მდგომარეობაში საკუთარ ჯგუფს ჩააყენებს.

ჩარგეიშვილის თქმით, ამ ნაბიჯით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ საქართველოში თითქმის ყველა სფეროში ბიზნესი ბანკებმა წაიღეს და კერძო ბიზნესების განვითარება აღარ ხდება. მისივე თქმით, ბაზარზე დარჩებიან მხოლოდ ბანკების მიერ მართვადი კომპანიები.

ჩარგეიშვილის განცხადებითვე, პრობლემაა, რომ არც ეროვნულმა ბანკმა და არც პარლამენტმა საკითხი ბოლომდე არ მიიყვანეს.

– დღეს რეალურად საკანონმდებლო ვაკუუმია. ეს არის გაქცევა პასუხისმგებლობისგან. ერთი მხრივ, ეროვნულმა ბანკმა განაცხადა, რომ არაპროფილური ბიზნესები აკრძალულია, თუმცა რეალურად კანონით აკრძალვა არ არსებობს, საქართველოს ბანკი თავს იმართლებს, რომ სხვა კომპანიები აქვს შექმნილი, თუმცა რეალურად ეს ჯგუფი საქართველოს ბანკის კაპიტალით იმართება და ეს არის ერთი ჯიბიდან ამოღებული და მეორეში გადადებული ფული, – აცხადებს ჩარგეიშვილი.

ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის ანალიტიკოსი მერაბ ჯანიაშვილი ამ გარიგების შემდეგ კონკურენციის გამძაფრებასაც ელოდება.

მისი თქმით, „ავერსსა“ და „პსპ-სთან“ კონკურენცია „ფარმადეპოს“ უჭირდა. ამიტომ, შესაძლოა, ამ გარიგების შემდეგ მსხვილი ჯგუფის გამოჩენის შედეგად კონკურენცია გამძაფრდეს და შედეგად მომხმარებელმა ისარგებლოს.

ჯანიაშვილი ამბობს, რომ „ავერსი“ და „პსპ“ მსხვილი მოთამაშეები არიან და ისინი არა მხოლოდ სააფთიაქო ქსელებს ფლობენ, არამედ აქვთ მედიკამენტების წარმოება, საავადმყოფოები, სადაზღვევო კომპანიები.

* * *

„კომერსანტმა“ საქართველოს ბანკის ჯგუფის მიერ კიდევ ერთი ფარმაცევტული კომპანიის შეძენასთან დაკავშირებით კომენტარის მისაღებად პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარესთან, აკაკი ზოიძესთან და მის მოადგილესთან, ლევან კობერიძესთან დაკავშირება სცადა, თუმცა სამთავრობო ცვლილების გამო მათგან კომენტარის მიღება ვერ მოხერხდა. ამიტომ „კომერსანტი“ ამ თემაზე მათ პოზიციას მოგვიანებით შემოგთავაზებთ.

ჯანდაცვის სამინისტროში კი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებენ.

**ბიპიენი, კომერსანტი**

# ტელეკომპანია რუსთავი 2-ის საქმე განსახილველად დიდ პალატას გადაეცა




უზენაესი სასამართლოს კოლეგიის გადაწყვეტილებით, ტელეკომპანია რუსთავი 2-ის საქმე განსახილველად დიდ პალატას გადაეცა.

ამის შესახებ ინტერპრენიუსს" ტელეკომპანიის ერთ-ერთმა ადვოკატმა დიმიტრი საძაგლიშვილმა განუცხადა.

საძაგლიშვილის ინფორმაციით, საქმე სამის ნაცვლად 9 მოსამართლემ უნდა განიხილოს და, ასევე, გამორიცხული არ არის, განხილვა კვლავ ზეპირი მოსმენით მოხდეს.

რუსთავი 2-ის ადვოკატის განცხადებით, მათი მოთხოვნა ამით არ იცვლება და ისინი კვლავ ითხოვენ, საქმე განსახილველად სააპელაციო სასამართლოში დაბრუნდეს.

როგორც საძაგლიშვილმა აღნიშნა, უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა ამ შემთხვევაშიც იმ 6-თვიან ვადაში უნდა ჩაჯდეს, რაც საკასაციო საჩივრისთვისაა განკუთვნილი, თუმცა, ის ვარაუდობს, რომ მოსამართლეებს საქმის გასაცნობად გარკვეული ვადა დასჭირდებათ.

# შს მინისტრის მოადგილე ზურაბ გამეზარდაშვილი გადადგა

სასაზღვრო პოლიციის უფროსი და შს მინისტრის მოადგილე ზურაბ გამეზარდაშვილი თანამდებობიდან გადადგა.

როგორც გამეზარდაშვილი სოციალურ ქსელში წერს, შესაბამისი განცხადებით შს მინისტრს 18 ნოემბერს მიმართა.

– 2011 წლის 7 ოქტომბერს ბატონი ბიძინა ივანიშვილის მიერ პოლიტიკაში მოსვლის შესახებ განცხადებისა და საზოგადოებისთვის პოლიტიკური გეგმების გაცნობისთანავე ჩემს თანამებრძოლებთან ერთად ვდგავარ საქართველოში დემოკრატიული პროცესებისა და სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საქმეში.

2012 წლის არჩევნებში კოალიცია „ქართული ოცნების" გამარჯვებისა და ავტორიტარული რეჟიმის დამარცხების შემდეგ სამსახურს შევუდექი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელად, ხოლო 2013 წლის 22 ნოემბრიდან ვიმსახურე შსს სასაზღვრო პოლიციის უფროსად.

დაკავებულ თანამდებობაზე სამსახურის პერიოდში არ დამიზოგავს ძალ-ღონე და ენერგია სასაზღვრო უწყებაში მესაზღვრეთა სოციალური პირობებისა და სასაზღვრო ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად. აღსანიშნავია სასაზღვრო პოლიციის განსაკუთრებული წვლილი ვიზალიბერალიზაციის მისაღებად საჭირო ვალდებულებათა შესრულებაში.

2016 წლის 18 ნოემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს მივმართე პატაკით პირადი სურვილით დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე.

მადლობას ვუხდი იმ გუნდს, რომელთან ერთადაც ამ პერიოდში მომიწია სამსახური საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესებისა და სასაზღვრო უსაფრთხოების განსამტკიცებლად, ასევე მადლობას ვუხდი საქართველოს მეგობარი ქვეყნების, განსაკუთრებით საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს მხარდაჭერისა და თანამშრომლობისათვის.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადა-



ვუხადო პირადად ბატონ ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც შეცვალა ქართული პოლიტიკა და ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის აღადგინა ურთიერთთანადგომისა და ურთიერთპატივისცემის ხიდი. მე ვრჩები მის მიერ გატარებული დემოკრატიული რეფორმების განხორციელებაზე ორიენტირებული გუნდის წევრად და მზად ვარ, როგორც რიგითი ჯარისკაცი, მომავალშიც ვემსახურო ჩემს სამშობლოს, – ნათქვამია მიმართვაში.

# ზვიად ბოჭორიშვილს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ზვიად ბოჭორიშვილი განზრახ მკვლელობის ჩადენაში დამნაშავედ ცნო.

სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ 2016 წლის 24 ივნისს ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ზვიად ბოჭორიშვილი ტელეფონით ესაუბრა თავის ნაცნობ ნიკა ჭკადუას, როდესაც ამ უკანასკნელმა მას შეურაცხყოფა მიაყენა.



ზვიად ბოჭორიშვილმა სიტუაციის გარკვევის მიზნით იმავე დღეს ნიკა ჭკადუა დაიბარა თბილისში, წყალსადენის ქუჩაზე განთავსებულ პარკში.

შეხვედრისას ზვიად ბოჭორიშვილს და ნიკა ჭკადუას კვლავ მოუხდათ ურთიერთშელაპარაკება, როდესაც შურისძიების მოტივით, განზრახ მოკვლის მიზნით, ზვიად ბოჭორიშვილმა ნიკა ჭკადუას დანით გულმკერდის არეში მიაყენა ჭრილობა.

ნიკა ჭკადუა მიღებული ჭრილობის შედეგად საავადმყოფოში გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ზვიად ბოჭორიშვილი იმავე დღეს საკუთარ საცხოვრებელ ბინაში დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) წარედგინა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ზვიად ბოჭორიშვილი დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 10 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

# თბილისში, ბაგრატიონის ქუჩაზე, ახალგაზრდა მამაკაცი გარდაცვლილი იპოვეს

თბილისში, ბაგრატიონის ქუჩაზე, ახალგაზრდა მამაკაცი გარდაცვლილი იპოვეს. არსებული ინფორმაციით, მამაკაცი სიმაღლიდან ჩამოვარდნის შედეგად არის გარდაცვლილი.

მცხოვრებლები აცხადებენ, რომ ახალგაზრდა მამაკაცის ცხედარი დილით ერთ-ერთმა მეზობელმა იპოვა და შემდეგ მეეზოვეებს დაუძახა. კორპუსის მცხოვრებლების თქმით, ისინი გარდაცვლილ მამაკაცს არ იცნობენ.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით არის აღძრული, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

# გოგონების წინადაცვეთა სისხლის სამართლებრივი წესით დასჯადი გახდება

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებები შეიტანა გოგონათა წინადაცვეთის საკითხთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც, აღნიშნული ქმედება სისხლის სამართლებრივი წესით დასჯადი გახდება.

ამის შესახებ განცხადება იუსტიციის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა თეა წულუკიანმა გააკეთა.

– ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ძალიან ბევრი ნაბიჯი, მათ შორის, საკანონმდებლო, გადაიდგა ბავშვთა უფლებების დაცვის მაღალ ხარისხში ასაყვანად. ეს პროცესი უნდა გაგრძელდეს და დასრულდეს სტამბოლის კონვენციის რატიფიცირებით. იმედი მაქვს, რატიფიცირება ახალი პარლამენტის ფარგლებში მოხდება, სადაც ჩვენ რამდენიმე დღის წინ ჩავამატეთ ახალი მუხლი, რომელიც ეხება ქალის გენიტალიების დამახინჯებას. თუკი ამას პარლამენტი მხარს დაუჭერს, იქნება ცალკე მუხლი, რომ გოგონების ე.წ. წინადაცვეთა გახდეს სისხლის სამართლებრივი წესით დასჯადი.

ჩვენ, სამწუხაროდ, არ გვეგონა, რომ ასეთი რამ არსებობს საქართველოში. არის სხვადასხვა ქვეყანა მსოფლიოში, მათ შორის, აფრიკის კონტინენტზე, სადაც გოგონები ასე სახიჩრდებიან და ჩვენ



გვინდა, რომ საქართველოში ის რამდენიმე მაგალითი, რაც ორ თუ სამ სოფელში არსებობს, სასწრაფოდ აღმოიფხვრას, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

## ეკონომიკა

# ეკონომიკა კატასტროფულ მდგომარეობაშია

## ხელისუფლებას პროცესების მართვა ძალიან გაუჭირდება

ეროვნული ვალუტის გაუფასურების შეჩერება ვერ ხერხდება. ბოლო ერთი თვის განმავლობაში ლარი დოლარის მიმართ 5%-ზე მეტით გაუფასურდა. საქართველოს ეროვნული ბანკი ლარის სტაბილიზაციისთვის სავალუტო ინტერვენციებს აღარ ახორციელებს, მთავრობა კი ლარიზაცია-დედოლარიზაციის სამოქმედო გეგმაზე საუბრობს და ირწმუნება, რომ ამისთვის 10 პუნქტიანი გეგმა უკვე აქვს, რომელსაც საბოლოოდ მთავრობის დამტკიცების შემდეგ გაამჟღავნებს.

ეკონომისტ დავით ასლანიშვილის თქმით, დღეს ლარის გაუფასურების მთავარი მიზეზი არის ის, რომ ეკონომიკა კატასტროფულ მდგომარეობაშია. გვაქვს დაახლოებით 1 მილიარდიანი ექსპორტი და 5,5 მილიარდიანი იმპორტი. შესაბამისად, ყოველწლიურად ქვეყნიდან გადის 4,5-5 მილიარდი დოლარი და ლარზე უარყოფითი გავლენაც მძაფრდება ყოველწლიურად.

მისივე თქმით, სესხების აღების პოტენციალი ამოწურულია, ქვეყანას



ჯამში აღებული აქვს 15 მილიარდ დოლარამდე საგარეო ვალი. გარდა ამისა, საკმაოდ რთული ვითარებაა შიდა ვალის მხრივაც.

– ყოველივე ქმნის ისეთ სიტუაციას, რომ ლარის გაცვლითი კურსი ყოველდღიურად ეცემა. მხოლოდ ჩვენი მიგრანტების და ტურისტების იმედად ყოფნა სიტუაციას არ შველის და ვერც უშველის, – განაცხადა ასლანიშვილმა.

იმისთვის, რომ კურსი მეტ-ნაკლებად დასტაბილურდეს, აუცილებელია, რომ ქვეყანაში შეიქმნას კონკურენტული ბაზარი, მოხდეს ლარზე მოთხოვნის სტიმულირება. ასევე მნიშვნელოვანია, რომ კომერციული ბანკების მარწუხებიდან გამოვიყვანოთ საფონდო ბაზარი.

– აუცილებელია, რომ კომერციულ ბანკებს კატეგორიულად აეკრძალოთ და თანაც კანონით, არასაბანკო საქმიანობა. კომერციული ბანკები არ უნდა ფლობდნენ სავაჭრო ობიექტებს, სამშენებლო კომპანიებს, საავადმყოფოებს და ა.შ. ანუ უნდა იყვნენ დაკავებულები მხოლოდ საბანკო საქმით და არ აიღონ თავის თავზე სხვა დარგების რისკები, – აღნიშნა ასლანიშვილმა.

იმისთვის, რომ ლარის კურსი დასტაბილურდეს, აუცილებელია, ლარის სტიმულირება მოხდეს, ლარმა უნდა დაიბრუნოს შენახვის ფუნქცია.

– აუცილებელია, რომ ქვეყნის შიგნით ვაჭრობა ხორციელდებოდეს ლარში და არა სხვა ვალუტაში, ბინები, მანქანები იყიდებოდეს ლარში. ამის სტიმულირება უნდა მოხდეს, რასაც ვერ აკეთებენ, – განაცხადა ასლანიშვილმა.

პირველი საკრედიტო კავშირის ხელმძღვანელი გივი კორინთელის თქმითაც, ლარის სტაბილიზაციისთვის აუცილებელია, ყველა ფასი დაფიქსირებული იყოს ლარში, ანუ ბინების, მანქანების და ა.შ. რეალიზაციის დროს ეკვივალენტის ცნება არ უნდა არსებობდეს.

– ადამიანები უნდა მიეჩვიონ ლარში ყიდვა-გაყიდვას. თუმცა აქ არის მეორე მომენტი, ამან შეიძლება ბინა გააძვიროს, ანუ სამშენებლო კომპანიამ თავი დაიზღვიოს და შესაბამისად, მან მოსალოდნელი რისკების თავიდან ასაცილებლად გაზარდოს ფასი. თუ ჩვენ გვინდა დედოლარიზაცია, იმასაც უნდა შევეგუოთ, რომ ამან შეიძლება ფასების ზრდა გამოიწვიოს, – აღნიშნა „კომერსანტთან" საუბრისას კორინთელმა.

„პირადი ბანკირის" აღმასრულებელი დირექტორი ირაკლი ბერძენაძე კი ამბობს, რომ ქვეყანაში დედოლარიზაცია ვერ მოხდება.

მისი თქმით, ახლა მთავარია, ხელისუფლებამ იმაზე იზრუნოს, რომ ქვეყანაში ინვესტიციები შემოვიდეს.

– თუ ინვესტიციები არ შემოვა ქვეყანაში, თუ არ შემოვიდა მეტი დოლარი, მაშინ არც ხელისუფლებას და არც რეგულატორს იმის შესაძლებლობა არ ექნებათ, რომ სიტუაციის სტაბილიზება მოახდინონ.

2,5-ს თუ გადასცდა ლარის კურსი, ეს უკვე ფსიქოლოგიური ნიშნულია, რომლის შემდგომ იწყება სხვა პროცესები, რისი მართვაც ხელისუფლებას ძალიან გაუჭირდება. თუ ეროვნულმა ბანკმა ქმედითი ნაბიჯები არ გადადგა, შეიძლება კურსი 2,6-ზეც ავიდეს, ამის შემდეგ განვითარებულ მოვლენებს კი ვერც დედოლარიზაცია უშველის და ვერც 10 პუნქტიანი გეგმა, – განუცხადა „კომერსანტს" ბერძენაძემ.

**ელზა წიკლაური, კომერსანტ.გე**

# კვირის ბოლოს საწვავი 4-5 თეთრით გაძვირდება

საქართველოში კვირის ბოლოს საწვავი, შესაძლოა, გაძვირდეს.

იმპორტიორების ნაწილი მოსალოდნელ საფასო ცვლილებაზე საუბარს თავს არიდებს, თუმცა, ამავე დროს, ადასტურებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ლარი არ გამყარდა, ფასები აუცილებლად მოიმატებს. თანაც, ამას ისიც ემატება, რომ გუშინ „პლატცის" ღირებულებამ 20-22 დოლარით მოიმატა. საქართველოში კი საწვავზე ფასი სწორედ „პლატცის" მიხედვით დგინდება.

ნავთობიმპორტიორებმა საწვავზე ფასი რამდენიმე კვირის წინ 4-5 თეთრით გაზარდეს, ეს კი საერთაშორისო ბაზრებზე ნავთობის ფასების მატებასა და ლარის კურსის რყევებს დაუკავშირეს.

დღეს კი, როდესაც მსოფლიო ბაზარზე „პლატცის" ფასი 20-22 დოლარითაა გაზრდილი, ლარის კურსი კი ვარდნას განაგრძობს, საცალო ბაზარზე საწვავზე ფასი, დიდი ალბათობით, ისევ მოიმატებს.

„სენტას" დამფუძნებელი ზაალ იაკობიძე ამბობს, რომ თუ ლარის კურსი არ დასტაბილურდა, უახლოეს დღეებში საქართველოში საწვავი აუცილებლად გაძვირდება.

– დღეს „პლატცი" 20-22 დოლარით უკვე გაძვირდა, 1 ტონა ბენზინი 510 დოლარის ფარგლებშია, ხოლო დიზელი 438 დოლარს შეადგენს. ეს იმას ნიშნავს, რომ 1 ლიტრზე ფასი საშუალოდ 4-5 თეთრითაა მომატებული. თუ „პლატცის" ღირებულება იგივე დარჩა, ლარი კი არ გამყარდა, მაშინ უახლოეს დღეებში ქართულ ბაზარზე საწვავი აუცილებლად გაძვირდება. მატება საშუალოდ 4-5 თეთრის ფარგლებში მოხდება, – განუცხადა „კომერსანტს" იაკობიძემ.

„სოკარ ჯორჯია პეტროლიუმის" დირექტორი დავით ზუბიტაშვილი „კომერსანტთან" საუბრისას აცხადებს, რომ ამ ეტაპზე მათთან საწვავზე ფასის ზრდა არ იგეგმება. ზუბიტაშვილის თქმით, საწვავზე ფასის შენარჩუნება ძირითადად ორ კომპონენტზეა დამოკიდებული.

– ახლა საწვავის გაძვირებას ნამდვილად არ ვგეგმავ. ფასების შენარჩუნება ორ კომპონენტზე, ქვეყნის გარეთ „პლატცის" ფასზე, ხოლო ქვეყანაში ლარის კურსზეა დამოკიდებული. „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმში" ბოლოს ფასი ნახევარი თვის წინ 4-5 თეთრით გაძვირდა და ამის მიზეზი ლარის გაუფასურება იყო. ფასების შენარჩუნებას ყველანაირად ვცდილობთ, რადგან მისი ცვლა ყველაზე ცუდი პროცესია, – განაცხადა ზუბიტაშვილმა.

როგორც „ვისოლის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვასილ ხორავა აცხადებს, ამ თემაზე წინასწარი პროგნოზის გაკეთება საკმაოდ რთულია.

– ჩვენი კომპანია უახლოეს დღეებში საწვავის გაძვირებას არ აპირებს, თუმცა ერთ კვირაში რა იქნება, ამას წინასწარ ვერ გეტყვით. საწვავის გაძვირება ძირითადად გაცვლით კურსსა და „პლატცზეა" დამოკიდებული. ახლანდელი ფასების შენარჩუნებას როდემდე შევძლებთ, არ ვიცი. ფინანსური გათვლები და გაანგარიშება უნდა გაკეთდეს, ხოლო შემდგომ ცვლილება ამის მიხედვით ხდება, – აღნიშნა ვასილ ხორავამ.

„ლუკოილის" გენერალური დირექტორის მოადგილე შავლეგ მიშველაძე ჩვენთან საუბრისას აღნიშნავს, რომ ჯერჯერობით მოვლენებთან დაკავშირებით დაკვირვება მიმდინარეობს და უახლოესი 2-3 დღის განმავლობაში საწვავზე



ფასის გაძვირება არ იგეგმება.

– უახლოესი 2-3 დღე საწვავზე ფასის გაძვირებას არ ვაპირებთ. ბოლოს ჩვენთან საწვავი 5 თეთრით ნოემბრის პირველ კვირას გაძვირდა. დღეს „პლატცმა" 20 დოლარით მოიმატა, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ საწვავის ფასი ხვალვე მოიმატებს. მოვლენებს ყოველთვის ტრენდისა და გრძელვადიანი თანხვედრის ჭრილში ვუყურებთ. ერთი დღის გაუფასურება ან გაძვირება მომენტალურ ასახვას არ ჰპოვებს. ჯერჯერობით მოვლენებთან დაკავშირებით დაკვირვება მიმდინარეობს. საწვავზე გაძვირება ან გაიაფება ლარის კურსსა და მსოფლიო ბაზარზე არსებულ ფასებზეა დამოკიდებული, – განაცხადა მიშველაძემ.

**ლიკა გურაბანიძე, კომერსანტ.გე**

# აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი ევროპას აფრთხილებს




აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ევროკავშირის ქვეყნები გააფრთხილა, რომ მოსალოდნელია ტერაქტები, რომელთა ორგანიზატორი ისლამური სახელმწიფოა.

სახელმწიფო დეპარტამენტის ცნობით, ტერორისტების გააქტიურება საშობაო და საახალწლო დღესასწაულებისას არის მოსალოდნელი.

– ტერორისტების სამიზნე მთელი ევროპაა, – იტყობინება აშშ-ი-ს სახელმწიფო დეპარტამენტი.

# ფრანგი მემარჯვენეების ახალი ლიდერი



ფრანგმა მემარჯვენეებმა პრაიმერის პირველი ტური ჩაატარეს. სრულიად მოულოდნელად, ფრანსუა ფიიონმა გაიმარჯვა.

ფიიონი 1954 წელს დაიბადა. სხვადასხვა დროს ეკავა შრომის, განათლების მინისტრის პოსტები, იყო პრემიერიც. ფიიონი რუსეთთან დაახლოების მომხრეა. ის მოსკოვისადმი დაწესებული სანქციების გაუქმებას მოითხოვს.

– ამ სანქციებით საფრანგეთი ზარალდება, – აცხადებს იგი.

თავის ერთ-ერთ ინტერვიუში ფიიონმა განაცხადა, რომ პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, შესაძლოა, ყირიმის ანექსიის კანონიერება აღიაროს:

– თუკი ყირიმის მოსახლეობას რუსეთთან შეერთება სურს, ამას პატივი უნდა ვცეთ, – თქვა ფიიონმა.

# მიწისძვრა იაპონიაში



იაპონიის აღმოსავლეთ სანაპიროზე 7,4 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა.

ადგილობრივი დროით 6:49 საათზე ცუნამი დაიწყო, ტალღის სიმაღლემ 1 მეტრს გადააჭარბა.

აშშ-ის გეოლოგიური სამსახურის ცნობით, მიწისძვრის ეპიცენტრი ფუკუშიმას პრეფექტურის ქალაქ ივაკიდან 67 კილომეტრის დაშორებით 10-11 კილომეტრის სიღრმეზე იყო.

სტიქიის შედეგად დაღუპულებისა და დაშავებულების შესახებ ინფორმაცია ამ დროისთვის არ ვრცელდება.

2011 წელს მომხდარი დამანგრეველი სტიქიის შედეგად იაპონიაში 18.000 ადამიანი დაიღუპა, ათასობით მოქალაქე უსახლკაროდ დარჩა. მაშინ ქვეყანამ მილიარდობით დოლარის ზარალი ნახა.

# ტრამპი თავისი გუნდის დაკომპლექტებას განაგრძობს



აშშ-ს ახლად არჩეული პრეზიდენტი დონალდ ტრამპი თავისი გუნდის დაკომპლექტებას განაგრძობს. ის ორშაბათს შეხვდა რესპუბლიკური პარტიის წევრ რიკ პერის, რომელიც პრაიმერში მისი მოწინააღმდეგე იყო. სავარაუდოდ, პერი ენერგეტიკის სამინისტროს ჩაუდგება სათავეში.

ტრამპი ოკლაჰომას შტატის გუბერნატორ მერი ფელინსაც ესაუბრა. ვარაუდობენ, რომ ფელინი სათავეში ჩაუდგება უწყებას, რომელსაც პარკებსა და ტყეებზე ზრუნვა ეკისრება.

მათ გარდა, ტრამპი კონგრესის წარმომადგენლობითი პალატის ყოფილ სპიკერ გინგრიჩსაც ესაუბრა.

ჯერჯერობით კვლავ გაურკვეველია, თუ ვინ დაიკავებს სახელმწიფო მდივნის პოსტს. ექსპერტები თვლიან, რომ ამ ეტაპზე ყველაზე რეალური კანდიდატურა მიტ რომნია.

ტრამპმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა აზია-წყნარი ოკეანის ქვეყნებთან თანამშრომლობის ხელშეკრულებიდან გასვლას აპირებს.

– ჩემი ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი ამ ხელშეკრულებიდან გასვლა იქნება, – აცხადებს ტრამპი.

# პუტინი ნატოს ემუქრება



რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ თუკი ნატოს გაფართოების პროცესი გაგრძელდება, რუსეთი ადეკვატურ ზომებს მიმართავს.

– ჩვენ განვახორციელებთ დარტყმებს ნატოს სამხედრო ობიექტებზე, – განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა.

ვლადიმერ ვლადიმიროვიჩმა აღნიშნა, რომ ლატვიაში, ლიტვასა და ესტონეთში მეტისმეტად ბევრი ნატოელი ჯარისკაცია.

– ეს ჯარები ბალტიისპირეთიდან უნდა გავიდეს, – ამბობს პუტინი.

რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებით, კალინინგრადში ისკანდერები განალაგეს. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა ამის თაობაზე ოფიციალური პროტესტი გამოთქვა.

# ნატოს საპარლამენტო ასამბლეას ახალი თავმჯდომარე ჰყავს



ნატოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარე პაოლო ალე გახდა.

ის მანამდე იტალია-უკრაინის საერთაშორისო ურთიერთობების კოორდინატორი გახლდათ. ალე უკრაინის ნატოში გაწევრიანებისა და მისთვის ლეტალური იარაღის მიწოდების მომხრეა.

# ერდოღანმა ნატოს თხოვნით მიმართა



თურქეთის პრეზიდენტმა რეჯებ ერდოღანმა ნატოს მოუწოდა, ქურთი ექსტრემისტებისა და ისლამისტების წინააღმდეგ ბრძოლაში დაეხმაროს.

– სამწუხაროდ, ევროკავშირში ფრიად შემწყნარებლურად ეკიდებიან ქურთისტანის მუშათა პარტიას და ავიწყდებათ, რომ ამ პარტიის სინდისზე უამრავი ადამიანის სიცოცხლეა, – თქვა ერდოღანმა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**


## განცხადებები

**მომსახურება**

- სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 250 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

**გთავაზობთ სამსახურს**

- გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.
- რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

**მკურნალობა**

- ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.
- უცხოეთში კვალიფიცირებული ექიმი-პედიატრი, გთავაზობთ სხვადასხვა სახის, ზოგადი პროფილის, ასევე ყველა ასაკის ბავშვთა მასაჟს. ვმუშაობ სხეულის კორექციაზეც ვაკუუმ-მასაჟის მეთოდით. მსურველებს, საჭირო კურსის ჩატარების შემდეგ, ექნებათ ლიპოსაქციის ეფექტი. 599 48-66-39.

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: ალმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.



## ტურმალინის საცვლები



ტურმალინს გააჩნია ბუნებრივი (bioenergy) სამკურნალო თვისებები. იგი ერთადერთი მინერალია, რომელსაც გააჩნია მაგნიტური ველი. ტურმალინი ასხივებს ინფრაწითელ სხივებს, რაც ათავისუფლებს თავისუფალ რადიკალებს. თავისუფალი რადიკალები არის ეგრეთწოდებული „ნარჩენები“, რომელსაც ორგანიზმში წარმოქმნის დაბინძურებული გარემო, ულტრაიისფერი სხივები, სიგარეტის კვამლი, გამონაბოლქვი და სხვა გარემო ფაქტორი.

თავისუფალი რადიკალები ზიანს აყენებენ უჯრედულ სტრუქტურას. უკიდურეს შემთხვევაში იწვევს კიბოს გაჩენას. ტურმალინი წერტილოვნად არის დატანილი ქვედა საცვლის ზედაპირზე. შედეგად, აქტიურდება სისხლის მიმოქცევა, რაც ხელს უწყობს უჯრედების ჟანგბადით მომარაგებას, ასტიმულირებენ ნერვულ დაბოლოებებს, .აუმჯობესებს სისხლძარღვთა გამტარობას, აქვს ანთების საწინააღმდეგო მოქმედება, ებრძვის 650-ზე მეტი სახეობის ბაქტერიას.

ტურმალინის ნანო ზედაპირი აღადგენს შარდსასქესო სისტემის ფუნქციას, ცისტიტი, ურეთრიტი, უნებლიე და ხშირი შარდვა, წვა და ტკივილი შარდვის დროს, ფეხების დაბუჟება, თირკმლის დაავადებები (ნეფრიტი, პიელონეფრიტი), კუჭის წყლულები, ყაბზობა, მეტეორიზმი, ბუასილი. ეფექტურად მოქმედებს ღვიძლზე, ნაღვლის ბუშტზე, ამცირებს კუნთების ტკივილს, საჯდომის ნერვის ანთებას, ხერხემლისა და წელის მიდამოს ოსტეოქონდროზს. აქვს ძლიერი ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი. უკუგანვითარებას იწყებენ ფარული ინფექციები, სქესობრივი გზით გადამდები ვენერიული დაავადებები (ქლამიდიოზი, ტრიქომონიაზი, გენიტალური ჰერპესი და სხვა).

ქალბატონებისათვის რეკომენდებულია ტრუსის ტარება, როდესაც აღინიშნება სასქესო მიდამოების წვა და ქავილი, გამონადენი, ვაგინიტი, ენდომეტრიტი, მტკივნეული მენსტრუაცია, კლიმაქსის პერიოდი, სხვადასხვა გინეკოლოგიური დაავადებები, საშვილოსნოს ყელის ეროზია, საშვილოსნოს ფიბრომა, კისტა, ფრიგიდულობა, აღადგენს სექსუალურ ლტოლვას, აღადგენს ჰორმონალურ ბალანსს, რეპროდუქციულ სისტემას.

მამაკაცებისათვის რეკომენდებულია ტრუსის ტარება, როდესაც აღინიშნება მწვავე და ქრონიკული პროსტატიტი, წვა და ტკივილი შარდვის დროს, სასქესო მიდამოების წვა და ქავილი, აღადგენს და აძლიერებს პოტენციას სექსუალური ფუნქციის დაქვეითების დროს, აღადგენს სექსუალურ ლტოლვას, აუმჯობესებს სათესლე ჯირკვლების მდგომარეობას.

**შემადგენლობა**

ტურმალინის ძაფი 78 %, აბრეშუმი, ტურმალინის მიკროკრისტალები, ანტიალერგიული, კომფორტული, სასიამოვნო და უვნებელი მასალა.

ტურმალინის საცვლებს რეკომენდაციას უწევენ პროქტოლოგები, გინეკოლოგები. ნეფროლოგები.

**მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 79. „მედტექნიკა“**
**ტელ.: 218-21-86; 579-885-996.**

**ფასი 35 ლარი**





**ელექტროლეიბი – ეს არის საუკეთესო გადაწყვეტილება ცივი ზამთრისთვის. ელექტროლეიბთან ერთად თქვენ არ შეგაშინებთ ყინვა და ცივი ღამეები.**

ეკონომიურია და, რაც მთავარია, აბსოლუტურად უსაფრთხო...

ერთი თვის განმავლობაში მოიხმარს 1-2 ლარის ღირებულების ელექტროენერგიას.

პროდუქცია დამზადებულია 100% ბუნებრივი ქსოვილისაგან, ბოლოებში დაფარულია თერმოდამცავი სისტემით, რომელიც ინარჩუნებს სითბოს. სითბო თანაბრად ნაწილდება ლეიბის მთელ ფართობზე.

ზომა: 120X160
რეჟიმი: 2
დაცულია გადახურებისგან.

**ფასი 30 ლარი**

**მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79 (უკანა მხარე); ქ.ზესტაფონი, რუსთაველის 158**
**ტელ.: 218-21-86; 579-885-996.**

# საქართველო ფრენბურთში ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს უმასპინძლებს



2017 წლის სექტემბერში საქართველო აზერბაიჯანთან ერთად ქალ ფრენბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს უმასპინძლებს.

ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობასთან დაკავშირებით გუშინ სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ ევროპის ფრენბურთის ფედერაციასა და საქართველოს ფრენბურთის ფედერაციას შორის ოფიციალური ხელშეკრულება გაფორმდა.

ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს თბილისში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა ევროპის ფრენბურთის კონფედერაციის პრეზიდენტმა ალექსანდრ ბორიჩიჩმა და საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ირაკლი ჩაჩუამ. ხელშეკრულების გაფორმებას დაესწრნენ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ტარიელ ხეჩიკაშვილი და თბილისის მერი დავით ნარმანია.

ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მხარეები ბაქოში გაემგზავრნენ, სადაც ევროპის ჩემპიონატის ორგანიზებასთან დაკავშირებით ოფიციალური შეხვედრები და მიღებებია დაგეგმილი.

აღსანიშნავია, რომ ევროპის ჩემპიონატის მატჩების ტრანსლაცია მსოფლიოს 160 ქვეყანაში განხორციელდება.

# წლის გუნდის ნომინანტები ცნობილია



უეფამ წლის სიმბოლური გუნდის შერჩევა დაიწყო. კანდიდატთა ჩამონათვალი სულ 40 წევრისგან შედგება. აღსანიშნავია, რომ წლის „დრიმ თიმის“ შერჩევაში არა მხოლოდ სპეციალისტები მიიღებენ მონაწილეობას, არამედ მათი გამოვლენა უეფას ვებგვერდზე დარეგისტრირებულ ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, რომელთაც ძირითადი თერთმეტეულის შერჩევამდე სასურველი ტაქტიკის დაფიქსირებაც მოუწევთ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, წლის სიმბოლურ გუნდში მოსახვედრად 40 ფეხბურთელი იბრძოლებს, რომელთა ჩამონათვალი ასე გამოიყურება:

**მეკარეები:**

კეილორ ნავასი (რეალი), ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი), რუი პატრისიო (სპორტინგი), იან ობლაკი (ატლეტიკო).

**მცველები:**

ჯოშუა კიმიხი (ბაიერნი), ჟერომ ბოატენგი (ორივე ბაიერნი), ტობი ალდერვეირელდი (ტოტენჰემი), პეპე, სერხიო რამოსი, დანი კარვახალი (ყველა რეალი), ხუანფრანი, დიეგო გოდინი (ორივე ატლეტიკო), ჟერარდ პიკე (ბარსელონა), ლეონარდო ბონუჩი (იუვენტუსი), რაფაელ გერერო (დორტმუნდი), ლორენ კოშელნი (არსენალი).

**ნახევარმცველები:**

პოლ პოგბა (მანჩესტერი), რიად მაჰრეზი (ლესტერი), აარონ რემსი (არსენალი), გრეგორჟ კრიხოვიაკი (პსჟ), ნგოლო კანტე (ჩელსი), ლუკა მოდრიჩი, ტონი კროოსი (ორივე რეალი), ანდრეს ინიესტა (ბარსელონა), ჯო ალენი (სტოკი), კევინ დე ბრუინი (სიტი), დიმიტრი პაიე (ვესტ ჰემი), იანიკ კარასკო (ატლეტიკო).

**თავდამსხმელები:**

რობერტ ლევანდოვსკი (ბაიერნი), ანტუან გრიზმანი (ატლეტიკო), კრიშტიანუ რონალდო, გარეთ ბეილი (ორივე რეალი), ლუის სუარესი, ლიონელ მესი, ნეიმარი (სამივე ბარსელონა), ზლატან იბრაჰიმოვიჩი (მანჩესტერი), გონსალო იგუაინი (იუვენტუსი), პიერ-ემერიკ ობამეიანგი (დორტმუნდი), სერხიო აგუერო (სიტი), ალექსის სანჩესი (არსენალი).

# შედეგები

**21 ნოემბერი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ვესტ ბროვიჩი-ბარნლი .................. 4:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 12 | 9 | 1 | 2 | 27-9 | 28 |
| 2.ლივერპული | 12 | 8 | 3 | 1 | 30-14 | 27 |
| 3.სიტი | 12 | 8 | 3 | 1 | 27-11 | 27 |
| 4.არსენალი | 12 | 7 | 4 | 1 | 25-12 | 25 |
| 5.ტოტენჰემი | 12 | 6 | 6 | 0 | 18-8 | 24 |
| 6.მანჩესტერი | 12 | 5 | 4 | 3 | 17-14 | 19 |
| 7.ევერტონი | 12 | 5 | 4 | 3 | 16-14 | 19 |
| 8.უოტფორდი | 12 | 5 | 3 | 4 | 17-20 | 18 |
| 9.ვესტ ბრომვიჩი | 12 | 4 | 4 | 4 | 16-15 | 16 |
| 10.ბორნმუთი | 12 | 4 | 3 | 5 | 14-16 | 15 |
| 11.საუთჰემპტონი | 12 | 3 | 5 | 4 | 12-12 | 14 |
| 12.ბარნლი | 12 | 4 | 2 | 6 | 11-19 | 14 |
| 13.სტოკი | 12 | 3 | 4 | 5 | 13-19 | 13 |
| 14.ლესტერი | 12 | 3 | 3 | 6 | 14-20 | 12 |
| 15.მიდლსბრო | 12 | 2 | 5 | 5 | 10-13 | 11 |
| 16.კრ.პალასი | 12 | 3 | 2 | 7 | 17-21 | 11 |
| 17.ვესტ ჰემი | 12 | 3 | 2 | 7 | 13-23 | 11 |
| 18.ჰალი | 12 | 3 | 1 | 8 | 10-27 | 10 |
| 19.სანდერლენდი | 12 | 2 | 2 | 8 | 12-21 | 8 |
| 20.სუონსი | 12 | 1 | 3 | 8 | 11-22 | 6 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ლეგანესი-ოსასუნა .......................... 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 12 | 9 | 3 | 0 | 34-10 | 30 |
| 2.ბარსელონა | 12 | 8 | 2 | 2 | 32-13 | 26 |
| 3.სევილია | 12 | 7 | 3 | 2 | 22-17 | 24 |
| 4.ვილიარეალი | 12 | 6 | 4 | 2 | 19-8 | 22 |
| 5.სოსიედადი | 12 | 7 | 1 | 4 | 21-13 | 22 |
| 6.ატლეტიკო | 12 | 6 | 3 | 3 | 25-11 | 21 |
| 7.ბილბაო | 12 | 6 | 2 | 4 | 16-13 | 20 |
| 8.ეიბარი | 12 | 5 | 3 | 4 | 17-15 | 18 |
| 9.სელტა | 12 | 5 | 2 | 5 | 18-22 | 17 |
| 10.ლას პალმასი | 12 | 4 | 4 | 4 | 21-20 | 16 |
| 11.მალაგა | 12 | 4 | 4 | 4 | 17-16 | 16 |
| 12.ესპანიოლი | 12 | 3 | 6 | 3 | 14-17 | 15 |
| 13.ბეტისი | 12 | 4 | 2 | 6 | 13-22 | 14 |
| 14.ალავესი | 12 | 3 | 4 | 5 | 11-16 | 13 |
| 15.ლეგანესი | 12 | 4 | 1 | 7 | 11-22 | 13 |
| 16.ვალენსია | 12 | 3 | 2 | 7 | 16-22 | 11 |
| 17.დეპორტივო | 12 | 2 | 4 | 6 | 10-19 | 10 |
| 18.ხიხონი | 12 | 2 | 3 | 7 | 11-25 | 9 |
| 19.ოსასუნა | 12 | 1 | 4 | 7 | 12-23 | 7 |
| 20.გრანადა | 12 | 0 | 5 | 7 | 10-26 | 5 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

მიუნხენ 1860-კაიზერი .................. 1:1

**იტალია. სერია ბ**

ტრაპანი-სპალი ............................. 1:1

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ბრესტი-ნიორი ............................... 2:3

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ტერეკი-ტომსკი .............................. 0:0

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

ჰამილტონი-ჰართსი ....................... 3:3

**თურქეთი. სუპერლიგა**

ბაშაქშეჰირი-რიზე ........................ 2:1

ტრაბზონი-ანთალია ....................... 0:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

კორონა-ზაგლებიე ......................... 2:1

**დანია. სუპერლიგა**

სილკებორგი-ესბიერგი .................. 3:0

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ბორჯღალოსნები შოტლანდიაში ჩაფრინდნენ

26 ნოემბერს ბორჯღალოსნები წლის დასკვნით, მე-11 მატჩს უძლიერესი გუნდის – შოტლანდიის წინააღმდეგ გამართავენ.

ქართული რაგბის პროგრესმა და რაგბი ევროპის ჩემპიონატის მოგებების სერიამ მსოფლიო რაგბი მიიყვანა დასკვნამდე, რომ საქართველოსთვის წელიწადში ერთხელ ტესტმატჩი ტიერ 1-ის წარმომადგენელთან დაენიშნა.

ჩვენი ნაკრების არსებობის 27-წლიან ისტორიაში ეს მესამე შემთხვევა იქნება, როდესაც უმაღლესი დონის გუნდს მსოფლიო თასს მიღმა შევხვდებით. ტიერ 1-ის გუნდებიდან ტესტმატჩები 2013 წელს არგენტინასთან და 2014 წელს ირლანდიასთან გავმართეთ, ახლა კი შოტლანდიის ჯერია.



ბორჯღალოსნებს შოტლანდიის წინააღმდეგ სამჯერ უთამაშიათ – ორჯერ ა ნაკრებთან, ერთხელაც – ეროვნულ გუნდთან. პირველი ნაცნობობა 2008 წელს შედგა და გლაზგოში მასპინძელთა ა ნაკრებმა 69:3 იმარჯვა; 2010 წელს ბუქარესტში რევანში შედგა და ასევე ა ნაკრებს 22:21 ვძლიეთ, ხოლო 2011 წლის მსოფლიო თასზე მეტოქემ ლელო ვერ დაგვიდო, თუმცა კარში დარტყმებით 15:6 იმარჯვა.

მეოთხე დაპირისპირება კილმარნოკში შედგება.

საქართველოს ნაკრები უკვე შოტლანდიაშია და თამაშისთვის მზადებას შეუდგა. სამწუხაროდ, ბორჯღალოსნებს ტრავმირებული ლაშა ხმალაძე და დავით კაჭარავა შოტლანდიასთან მატჩშიც დააკლდებიან.

**მილტონ ჰეიგმა შოტლანდიაში ასეთი შემადგენლობა იახლა:**

**წინა ხაზი**: მიხეილ ნარიაშვილი, დავით ქუბრიაშვილი, კონსტანტინე მიქაუტაძე (ყველა მონპელიე, საფრანგეთი), ვასილ კაკოვინი (ტულუზი, საფრანგეთი), ჯაბა ბრეგვაძე (ვორსტერი, ინგლისი), ლევან ჩილაჩავა, ბადრი ალხაზიშვილი, მამუკა გორგოძე (ყველა ტულონი), კარლენ ასეიშვილი (ბრივი, საფრანგეთი), გიორგი ნემსაძე (ბრისტოლი, ინგლისი), ნოდარ ჭეიშვილი (ლელო), გიორგი ჩხაიძე (დომონი, საფრანგეთი), შალვა სუთიაშვილი (ანგულემი, საფრანგეთი), ვიქტორ კოლელიშვილი (კლერმონი, საფრანგეთი), ლაშა ლომიძე (ბეზიე, საფრანგეთი), ბექა ბიწაძე (შამბერი, საფრანგეთი), გიორგი თხილაიშვილი (ბათუმი);

**უკანა ხაზი**: ვასილ ლობჟანიძე (ბრივი, საფრანგეთი), გიორგი ბეგაძე (ყოჩები), ლაშა მალაღურაძე (კრასნი იარი, რუსეთი), რეზო ჯინჭველაშვილი (ბაგრატი), მერაბ შარიქაძე (ორიაკი, საფრანგეთი), თამაზ მჭედლიძე (აჟენი, საფრანგეთი), გიორგი კოშაძე (ხარები), გიორგი აფციაური, ბექა წიკლაური (ორივე ლოკომოტივი), ანზორ სიჭინავა (აკადემია), ალექსანდრე თოდუა, მერაბ კვირიკაშვილი (ორივე ლელო).

სკოტებმა გასულ უქმეებზე არგენტინის ნაკრები 19:16 დაამარცხეს. შედეგად, მსოფლიოს რეიტინგში მეცხრე ადგილიდან მეშვიდემდე დაწინაურდნენ.

მეტოქე რთულია, თუმცა თავად ნარშავების ახალზელანდიელმა თავკაცმა **ვერნ კოტერმა** თავის გუნდს სიფრთხილისკენ მოუწოდა.

– საქართველომ ახლახან სამოა დაამარცხა. ეჭვი არ შეგეპაროთ, მასთან მატჩი ძალიან რთული იქნება. ძალიან კარგად ვიცნობ ქართველთა მწვრთნელ მილტონ ჰეიგს. მან ძალიან კარგად იმუშავა. საქართველოს ნაკრებს დიდ პატივს ვცემთ და ვიცით, რომ მნიშვნელოვანი მატჩი გველის. მათ თავის გამოჩენა სურთ, რადგან ექვს ერში თამაშის პრეტენზია აქვთ. სამოასთან მატჩი უკვე ვნახეთ და ილუზიები არ გვაქვს, რას შეიძლება ველოდოთ კილმარნოკში. რაგბი საქართველოს პირველი სპორტია. ის ეროვნული სპორტია ამ ქვეყანაში. ამიტომ მძიმე მატჩი გარანტირებულია.

❖ ❖ ❖

შოტლანდიის ნაკრების სიმბოლო და მეტსახელი ნაციონალური ყვავილი ნარშავია. ლეგენდის თანახმად, ეს ეკლიანი ყვავილი განსაკუთრებულ როლს ასრულებდა ვიკინგთა მუდმივი თავდასხმების დროს, რადგან, როდესაც ისინი შიშველ ფეხს ამ ყვავილს აბიჯებდნენ, ტკივილისგან იმდენად ხმამაღლა ყვიროდნენ, რომ დამცველ ციხიონს აღვიძებდნენ და თავდამსხმელებს ჩუმად მიპარვის საშუალება ესპობოდათ.

შოტლანდიის ნაკრების სიმბოლოდ და მასთან მიძღვნილ ჰიმნად ეს ყვავილი 1990 წელს შეირჩა. იმ წელს სქოთებმა ხუთი ერის პირველობა მოიგეს და თანაც გადამწყვეტ შეხვედრაში ინგლისი 13:7 დაამარცხეს. ამ ფაქტმა იმხელა აჟიოტაჟი გამოიწვია, რომ შოტლანდიელ გულშემატკივრებს ყვავილი და მასთან მიძღვნილი ჰიმნი ძლიერ შეუყვარდათ და ნარშავმა სამუდამოდ დაიმკვიდრა შოტლანდიის ნაკრების სიმბოლოს სახელი.

# ფაჩულია და მეომრები იგებენ, შენგელია განაცხადს დაუბრუნდა

## საკალათბურთო ლეგიონის ამბები

გოლდენ სტეიტ უორიორსმა ზედიზედ მე-9 მატჩი მოიგო.

ზაზა ფაჩულიას გუნდმა ამჯერად ინდიანაში იმარჯვა, სადაც ადგილობრივი პეისერსი 37 ქულით – 120:83 გაანადგურა. ამით ოკლენდელებმა 4-მატჩიანი გასვლითი ტურნე დაასრულეს, რომლის განმავლობაშიც ტორონტოში, ბოსტონში, მილუოკსა და ინდიანაში იმარჯვეს.

ფაჩულია, ტრადიციულად, სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე მხოლოდ 14 წუთი გაატარა, რაც ქართველმა ცენტრმა საკმაოდ ნაყოფიერად გამოიყენა. ზაზამ 4-დან 2 ორქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო. 6 ქულას მან 7 მოხსნა და 1 პასი მიაყოლა.

თამაში იმდენად „ცალფარა“ იყო, რომ მოედანზე გოლდენსტეიტელთა ყველა კალათბურთელი გამოჩნდა. შესაბამისად, სასტარტოები დიდად არ დატვირთულან და ბოლო პერიოდში მათგან მოედანზე არავინ გამოჩენილა. მატჩის ბედი გარკვეული იყო და სტივ კერიმ ასპარეზი სათადარიგოებს დაუთმო.

12 მოგებითა და 2 მარცხით გოლდენ სტეიტი, კლიპერსთან ერთად, დასავლეთ კონფერენციას ლიდერობს. მომდევნო მატჩში ოკლენდელები ლოს ანჯელეს ლეიკერსს უმასპინძლებენ, რომელთანაც ამ სეზონში შინ წაგება უკვე აქვთ და რევანშის ასაღებად არიან მომართულები.

ესპანეთის ჩემპიონატში ბექა ბურჯანაძისა და გიორგი შერმადინის მორაბანკ ანდორამ მორიგი გამარჯვება იზეიმა. ქართველ ლეგიონერთა გუნდმა ობრადოიროს 91:87 სძლია და 8 შეხვედრაში 6 მოგება მოუგროვდა, რის შემდეგაც ლიდერთა შორის გაერია.

ქართველთაგან სასტარტო ხუთეულში შერმადინი გამოჩნდა და 24 წუთში 11 ქულა, 5 მოხსნა და 1 დაფარება მოაგროვა. გიორგიმ 6-დან 4 ორქულიანი და 5-დან 3 საჯარიმო ჩააგდო.

ბურჯანაძემ მოედანზე 18 წუთი გაატარა და მისი მონაგარი 6 ქულა, 5 მოხსნა და 1 პასი იყო. ქართველმა ფორვარდმა ორ-ორი ორქულიანი და სამქულიანი ააცილა, სამაგიეროდ, 6-ვე საჯარიმო გამოიყენა.

ანდორა ამ მომენტისთვის ტენერიფესთან ერთად მე3-4 ადგილებს იყოფს, მომდევნო მატჩს კი ფუენლაბრადასთან გამართავს.



თორნიკე შენგელიას გარეშე ბასკონიას უჭირს. ქართველი ფორვარდი განაცხადში კი იყო, მაგრამ მოედანზე არ გასულა.

შენგელიამ 2 კვირის წინ კოჭი ამოიბრუნა და მკურნალობდა. ვიტორიელებმა ესპანეთის ჩემპიონატის მატჩში რიგით სარაგოსასთან ბეწვის ხიდზე გაიარეს. ბასკური კლუბი ბოლო პერიოდში 9 ქულით აგებდა, საფინალო სირენამდე 20 წამით ადრე კი 4 ქულით ჩამორჩებოდა, მაგრამ თამაშის ოვერტაიმში გადაყვანა შეძლო და საბოლოოდ გამარჯვებას მიაღწია – 101:92.

6 მოგებითა და 3 მარცხით ბასკონია ბურჯანაძე-შერმადინის ანდორასა და ტენერიფეს ზურგსუკან მე-5 ადგილზეა. ესპანეთის ჩემპიონატში მომდევნო მატჩს, რომელშიც, ალბათ, შენგელიაც ითამაშებს, ბასკონიელები შინ სწორედ ტენერიფესთან გამართავენ.

მაიკლ დიქსონის აეკ-მა საბერძნეთის ჩემპიონატში მორიგი მატჩი მოიგო და ასპროცენტიანი მაჩვენებლით კვლავ პირველ ადგილზეა.

საქართველოს ეროვნული ნაკრების ნატურალიზებული ამერიკელი კალათბურთელის გუნდი 7 ტურის შემდეგ დაუმარცხებლად ლიდერობს. გასულ ტურში ათენელებმა პრომეთეოსს შინ 76:60 მოუგეს.

მაიკლ დიქსონმა მოედანზე 21 წუთი დაჰყო და 9 ქულა, 3 მოხსნა, 5 პასი, 1 დაფარება და 2 ჩაჭრა მიითვალა. მაიკლმა 6-დან 4 ორქულიანი და 1 საჯარიმო ჩააგდო, 6 სამქულიანი კი ააცილა.

მომდევნო ტურში აეკ-ს სერიოზული გამოცდა ელის: დიქსონის გუნდი პირეოსში ოლიმპიაკოსს ეთამაშება, რომელსაც ასევე 7-დან 7 გამარჯვება აქვს და მეორე ადგილზეა. ეს პრინციპული მატჩში 26 ნოემბერს გაიმართება.

დუდა სანაძის ლასტოვკამ სლოვენიის უმაღლეს ლიგაში მორიგი გამარჯვება მოიპოვა და ამაში, როგორც წესი, ქართველი უკანახაზელის დამსახურება უდიდესია. სანაძე დომჟალეს გუნდის ბომბარდირი გახდა, მისმა გუნდმა კი ჰელიოსს 71:65 მოუგო.

სანაძე სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 35 წუთი გაატარა. სანაძე, რომელმაც წინა 2 მატჩში ჯამი 60 ქულა ჩააგდო, შედარებით მოკრძალებული იყო, თუმცა თავის გუნდში ბომბარდირი მაინც გახდა. დუდამ შეხვედრა 17 ქულით, 6 მოხსნით, 1 პასით და 1 ჩაჭრით დაასრულა. სანაძემ 5-დან 3 სამქულიანი, 2-დან 2 საჯარიმო და 14-დან 3 ორიანი ჩააგდო.

5 მოგებითა და 2 მარცხით ლასტოვკა კიდევ 4 გუნდთან ერთად ცხრილში მე-2-6 ადგილებს იყოფს.

მომდევნო მატჩს სანაძის გუნდი სტუმრად ლაშკოს ზლატოროგთან გამართავს.

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# როგორია მწვავე ინსულტისა და თავის ტვინის სისხლძარღვების მკურნალობის ინოვაციური მეთოდები?

**ქირურგიის ეროვნული ცენტრის ნეიროქირურგიის დეპარტამენტი ფეხდაფეხ მიჰყვება თანამედროვე მედიცინის ყოველდღიურად სწრაფი ზრდის ტენდენციას. მაღალი ტექნოლოგიები ნეიროქირურგებს ნებისმიერი სირთულის პათოლოგიასთან გამკლავების საშუალებას აძლევს. კლინიკაში დანერგილი სიახლეების გაცნობის მიზნით გავესაუბრეთ ქირურგიის ეროვნული ცენტრის ნეიროქირურგს, ბატონ გიორგი ეგუტიძეს.**

ეკა ირემაშვილი

***– რა რისკფაქტორები არსებობს იშემიური ინსულტის განვითარებასთან დაკავშირებით?***

– იშემიური ინსულტის განვითარების მიზეზი არის შიგნითა საძილე არტერიის ათეროსკლეროზი, თრომბოზები, რის გამოც ხდება სისხლძარღვის შევიწროება და ამის ფონზე ვითარდება იშემიური ინსულტი, ანუ თავის ტვინის კონკრეტულ უბანს აღარ მიეწოდება სისხლი, არ ხდება კვება და, მარტივად რომ ვთქვათ, აღნიშნული უბანი კვდება, რაც იწვევს პაციენტის დაინვალიდებას.

***– რა თანამედროვე მიდგომებია დანერგილი ქირურგიის ეროვნულ ცენტრში იშემიური ინსულტის მკურნალობის ტაქტიკაში?***

– საქართველოში, პირველად ჩვენს კლინიკაში, იშემიური ინსულტის მკურნალობის სქემაში დავნერგეთ ახალი, მსოფლიოში აპრობირებული მცირეინვაზიური მეთოდი, რაც გულისხმობს ოპერაციის გაკეთებას ანესთეზიისა და განაკვეთის გარეშე. ოპერაცია წარმოებს ბარძაყის მიდამოდან, საიდანაც ხდება სისხლძარღვის შიგნით კათეტერის შეყვანა და შემდეგ საძილე არტერიის სტენტირება. ამგვარად, ხდება საძილე არტერიის გაფართოება და სისხლმომარაგების აღდგება თავის ტვინში. აღნიშნულმა მეთოდმა მინიმუმამდე დაიყვნა დაინვალიდება როგორც მწვავე ინსულტის დროს, ასევე ინსულტის შემდგომ პერიოდში. ასევე შეიძლება მინიმუმამდე იქნეს შემცირებული იშემიური ინსულტის განვითარება, თუ პაციენტი აღნიშნავს თავბრუსხვევას, ყურებში შუილს, წონასწორობის დარღვევასა და თავის ტკივილს. ჩვენი უახლესი აპარატურით შეიძლება შეფასებულ იქნეს შიგნითა საძილე არტერია, რაც პრევენციული ღონისძიებებისა და პაციენტის იშემიური ინსულტის შემთხვევისგან დაცვის საშუალებას გვაძლევს.

***– როგორ მიმდინარეობს ასეთი მიდგომით ნამკურნალევი პაციენტების რეაბილიტაციის პერიოდი?***

– აღნიშნული მანიპულაციით ჩარევის შემდეგ კლინიკაში პაციენტი ყოვნდება სამი დღე. გაწერილ პაციენტებს არ აღენიშნებათ ნევროლოგიური დეფიციტი და მალევე უბრუნდებიან ცხოვრების ჩვეულ წესს.

***– გარდა იშემიური ინსულტისა, სიხშირის მიხედვით, რომელ დაავადებას აღნიშნავდით?***

– ხშირად მოგვმართავენ პაციენტები თავის ტვინის სისხლძარღვების ანევრიზმის დიაგნოზით. დიაგნოსტირება ხდება თავის ტვინის მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიული კვლევითა და ცერებრული ანგიოგრაფის საშუალებით. აუცილებელია ასეთი პათოლოგიის დროული დიაგნოსტიკა, რათა ავიცილოთ ისეთი სავალალო შედეგი, როგორიც არის ანევრიზმის გასკდომა, რაც საკმაოდ მძიმე დაინვალიდებასა და, ხშირ შემთხვევაში, სიკვდილს იწვევს. ამ დაავადების მართვისა და მკურნალობის სქემაშიც დავნერგეთ ახალი მიდგომები, რაც გულისხმობს განაკვეთის გარეშე ოპერაციის გაკეთებას. ეს ამცირებს ხანგრძლივ რეაბილიტაციასა და ოპერაციის შემდგომ გართულებებს. მეთოდი გულისხმობს ბარძაყის მიდამოდან თავის ტვინის ანევრიზმების გამოთიშვას, რაც თანამედროვე მედიცინის მიღწევას წარმოადგენს. ის ძალზე შედეგიანი და ეფექტურია.



***– რა თანამედროვე მეთოდები არსებობს თავისა და ზურგის ტვინის სიმსივნეების მკურნალობაში?***

– თავისა და ზურგის ტვინის სიმსივნეების შემთხვევითობა მკვეთრად გაზრდილია ბოლო ხანებში. დიაგნოსტირება ხდება, სამწუხაროდ, გვიან ეტაპებზე, რასაც მძიმე შედეგამდე მივყავართ. ასეთი პაციენტებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ჩარევა იყოს რაც შეიძლება დამზოგველი და ეფექტური. ჩვენ შემუშავებული გვაქვს სიმსივნის თანამედროვე მკურნალობის სქემა მცირეინვაზიური მეთოდით, რაც გულისხმობს განაკვეთის გარეშე ოპერაციების წარმოებასა და სიმსივნის ემბოლიზაციას. მკურნალობის ასეთი მეთოდი საჭიროებს ხანმოკლე რეაბილიტაციას და პაციენტები სამ დღეში ეწერებიან ბინაზე.

***– რაც შეეხება გადაუდებელ დახმარებას, თუ ემსახურება თქვენი დეპარტამენტი ურგენტულ შემთხვევებს?***

– ჩვენი დეპარტამენტი 24 საათის განმავლობაში მზად არის, მიიღოს და დაეხმაროს პაციენტებს როგორც ზემოაღნიშნული, ისე ნებისმიერი სხვა გადაუდებელი მდგომარეობის დროს.

გარდა ამისა, აღსანიშნავია ისეთი პათოლოგია, როგორიც არის თავის ტვინის სისხლძარღვების შევიწროება, რაც ყველაზე ხშირად აღინიშნება ავტოავარიის შედეგად გამოწვეული ქალა-ტვინის ტრავმების დროს, რასაც სავალალო შედეგამდე მივყავართ. ასეთ შემთხვევებში დროულ დახმარებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ასეთ დროს ჩვენ ვახდენთ თავის ტვინის სისხლძარღვების გაფართოებას განაკვეთის გარეშე. ამით ვიწვევთ სისხლმომარაგების აღდგენას თავის ტვინში. ასეთი მიდგომა იცავს თავის ტვინს ღრმა დაზიანებისგან, რაც შეიძლება შეუქცევადი აღმოჩნდეს.

# ჩინელი ფერმერი ღორებს სპორტში ავარჯიშებს




ჩინელმა ფერმერმა თავის ღორებს კოშკურიდან წყალში გადახტომა და ყვინთვა ასწავლა, რათა ამით მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაეუმჯობესებინა და უფრო გემრიელი ხორცი მიეღო.

ხუან დემინგი ჩინეთის პროვინცია ხუნანიდან უკვე ოთხი წელია, თავისი ფერმის ღორებს სპორტში ვარჯიშს აიძულებს. მას ყოველდღე ღორები უახლოეს გუბურასთან მიჰყავს და სამმეტრიანი კოშკურისკენ მიერეკება. იქიდან ცხოველები წყალში ხტებიან, შემდეგ კი წყალსატევის გარშემო ცურვით რამდენიმე წრეს უვლიან.

ფერმერს სჯერა, რომ ასეთი ვარჯიშები ღორების იმუნურ სისტემას აუმჯობესებს და ამიტომაც ისინი იშვიათად ავადდებიან. გარდა ამისა, ხტომისა და ცურვისგან ცხოველებს მადა ემატებათ. შედეგად უფრო მეტს ჭამენ და უფრო სწრაფად იზრდებიან. დემინგის აზრით, „სპორტსმენი" ღორების ხორცი უფრო გემრიელია და უფრო სასიამოვნო ტექსტურისაა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი" გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი".

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას"); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ქალმა მძღოლმა პოლიციელი მანქანის კაპოტით 400 მეტრი ატარა

არგენტინის ქალაქ სან-ისიდროში მძღოლმა ქალმა საგზაო პოლიციის ინსპექტორი დაახლოებით 400 მეტრი საკუთარი მანქანის კაპოტზე ჩაჭიდებული ათრია. მომხდარის ვიდეოჩანაწერი ტვიტერში ერთ-ერთმა ტელეარხმა საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

ინციდენტი არგენტინის დედაქალაქის ბუენოს-აირესის პრესტიჟულ გარეუბანში მოხდა. პოლიციელმა მანქანა გააჩერა და აღმოაჩინა, რომ საჭესთან მჯდომ ქალს არ შეეძლო, მისთვის მანქანის საბუთები წარედგინა. ინსპექტორი შეეცადა, ის დაეკავებინა, მაგრამ ქალმა აქსელერატორს ფეხი დააჭირა და მანქანა პირდაპირ მისკენ დაძრა.

მანქანის კაპოტს ჩაჭიდებულმა ინსპექტორმა დაახლოებით 400 მეტრი მანძილის გავლის შემდეგ გადაწყვიტა, გაერისკა და მოძრავი მანქანიდან გადამხტარიყო. ამის შედეგად მან მუხლის ტრავმა მიიღო. მძღოლი ქალი მალე დააპატიმრეს და მას მკვლელობის მცდელობის ბრალდება წაუყენეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# ასტროპროგნოზი

23 ნოემბრისათვის



**ვერძი** – ეს დღე გამოირჩევა შინაგანი თავისუფლებითა და სიცოცხლის სიხარულით. შინაურებისადმი ნდობა ძალას გმატებთ. **კურო** – ოპტიმისტურად ხართ განწყობილი, რაც მომავალ წარმატებას ხელს შეუწყობს, თუმცაღა, წინდახედულობა მაინც გმართებთ. **ტყუპები** – კეთილისმყოფელი დღეა ხანგრძლივი მოგზაურობისა და მივლინებებისათვის, საყიდლებზე წასასვლელად. ნავაჭრით კმაყოფილი დარჩებით. **კირჩხიბი** – გარშემომყოფებთან ურთიერთობაში ჰარმონიას ინარჩუნებთ. გრძელვადიან გეგმებს ნუ შეიმუშავებთ. **ლომი** – კარიერაში წინსვლა შეინიშნება. თქვენი ტალანტი და კომუნიკაბელურობა სათანადოდ დაფასდება. **ქალწული** – დღის დევიზია სიყვარული, სიმშვიდე და თანხმობა. ეცადეთ, საყვარელ ადამიანთან მეტი დრო გაატაროთ. **სასწორი** – აქტიური და შემოქმედებითი დღეა. საყოფაცხოვრებო პრობლემებს მშვენივრად მოაგვარებთ. **ღრიანკალი** – მშვიდად ხართ. ერთადერთ დისკომფორტს ახლობელთან გაუგებრობა შეგიქმნით. **მშვილდოსანი** – სიახლისადმი სწრაფვა სარისკო ნაბიჯს გადაგადგმევინებთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **თხის რქა** – გიმახვილდებათ ინტუიცია. ენერგია დაზოგეთ. ჯანმრთელობას უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. **მერწყული** – მომავალს უშეცდომოდ ჭვრეტთ. პრობლემებს წარმატებით გადაჭრით. **თევზები** – პატივმოყვარეობა და ქედმაღლობა არ ვარგა. ეცადეთ, განმარტოვდეთ და სულიერი სიმშვიდე მოიპოვოთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. ტოკიოს ძველი სახელწოდება; 2. რაიონული ცენტრი რაჭაში; 3. პანიკური ჭორების გამავრცელებელი ადამიანი; 4. მუსლიმანური კალენდარი; 5. ჩანჩქერი კანადა-აშშ-ის საზღვარზე; 8. ფრანგი კინოვარსკვლავი ქალი; 9. მე-16 საუკუნის გერმანელი მხატვარი; 10. ორგანიზმის მემკვიდრეობითობის შემსწავლელი ბიოლოგიის ნაწილი; 12. ქალაქი-მუზეუმი საქართველოში; 13. ქიმიური ელემენტი, ინერტული აირი; 15. ხელოვნური წყალსაცავი დასავლეთ საქართველოში.

**თარაზულად**: 1. ჩაღრმავებულ გამოსახულებიანი ძვირფასი ქვის ნაკეთობა; 6. ფილტვების დაავადება; 7. სამეცნიერო ქალაქი რუსეთში; 10. კუთხე საქართველოში; 11. სახალხო მთქმელი შუა აზიაში; 13. ტბა ბათუმში; 14. აქლემის ბეწვისგან მოქსოვილი ხალიჩა; 16. ფულის საერთაშორისო ერთეული; 17. გამკვრივებული თევზის ნარჩენებისგან დამზადებული სამკურნალო, ზეთისებრი ნივთიერება; 18. მთიანეთი შუა აზიაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ფლობერი; 2. რუმბულა; 3. ნიაღვარი; 4. ბესიკი; 5. ბოდრუმი; 8. მისხალი; 9. მისისიპი; 12. ჰელვეცია; 13. ბიონიკა; 16. სარასატე; 17. მადიარი; 19. პლისკა; 20. ჟიგოლო.

**თარაზულად:** 6. ალტრუიზმი; 7. მეეზოვე; 8. მულამი; 10. შერბური; 11. პული; 14. ბრისტოლი; 15. ალკატელი; 18. კაბელი; 21. ლოკჰიდი; 22. სირჩა; 23. ამქარი; 24. პერგამონი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ფესი; 2. ობი; 3. პარანომია; 4. ბზიფი; 5. მაზურკა; 8. ლირა; 9. ცინიზმი; 10. ნაკამურა; 12. ილუზია; 13. ოპაკი; 15. ღვინო.

**თარაზულად:** 1. ფიდელიო; 6. მალვაზია; 7. სალდო; 10. ნუარე; 11. ფრუმი; 13. ოლიფა; 14. ბაღჩა; 16. ზარა; 17. არაბიკა; 18. თაგორი.

# ომარ მხეიძეს ფესტივალი მიუძღვნეს



ანსამბლ „სუხიშვილების“ ერთ-ერთ გამორჩეულ წევრ ომარ მხეიძეს ფესტივალი მიუძღვნეს.

„ბრავო, ომარ!“ – ასე ეწოდება საბავშვო და ახალგაზრდული ქორეოგრაფიული კოლექტივების ყოველწლიურ შემაჯამებელ ღონისძიებას, რომლის ორგანიზატორიც საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირია.

ფესტივალში მონაწილეობა მიიღეს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსულმა საბავშვო და ახალგაზრდულმა ქორეოგრაფიულმა კოლექტივებმა, მათ შორის, ომარ მხეიძის სახელობის სტუდიებთან არსებულმა უკვე გარკვეული დამსახურების მქონე ანსამბლებმა.

# სამთავისის ეკლესიაში საუკუნოვანი იატაკი აყარეს



ქართველი საზოგადოება ბოლო პერიოდში აქტიურად აპროტესტებს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე თვითნებური რეაბილიტაციების ფაქტებს და მოითხოვს საუკუნოვან ტაძრებში გამათბობლების, კონდიციონერებისა და სატელიტური ანტენების მოხსნას.

რეაბილიტაცია შეეხო სამთავისის ეკლესიასაც. ტაძარში არსებულ მდგომარეობაზე ინფორმაცია და ფოტოები სოციალურ ქსელში ოთო კახიძემ გაავრცელა:

– სამთავისის ეკლესიაში მღვდლებმა საუკუნოვანი იატაკი აყარეს, ამილახვრებისა და ერისთავების საფლავები ამოთხარეს, ძვლები ერთად მოათავსეს და მის ქვეშ გამათბობლები დაამონტაჟეს.

და ეს ციხეში ჩასასმელი ბარბაროს-ტარტაროზები ისტორიაზე, კულტურასა და მორალზე ალაპარაკდებიან.

# საბალეტო დასი „წუნა და წრუწუნას“ პრემიერას გამართავს




25 ნოემბერს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასი ნინო ანანიაშვილის ხელმძღვანელობით პატარა მაყურებელს „წუნა და წრუწუნას“ პრემიერას შესთავაზებს.

ეს იქნება პირველი საბავშვო საბალეტო წარმოდგენა დამოუკიდებელი საქართველოს საბალეტო ისტორიაში.

„წუნა და წრუწუნას“ ქორეოგრაფიულად განხორციელების იდეა პრიმაბალერინა ნინო ანანიაშვილს ეკუთვნის. დეკორაციები და კოსტიუმები შეკერილია. საბალეტო დასის ხელმძღვანელი მოცეკვავეებთან ბოლო დეტალებს ათანხმებს.

სპექტაკლი ცნობილი ქართველი კომპოზიტორის მერი დავითაშვილის მუსიკალური ნაწარმოების მიხედვით იდგმება. საპრემიერო სპექტაკლზე დასასწრები ბილეთი 70 ლარი ღირს.

მომდევნო დღეებში დანიშნულ წარმოდგენებზე ყველა ბილეთი უკვე გაყიდულია.

# გია ყანჩელზე გადაღებული ფილმის პრემიერა „ამირანში“ გაიმართება



მსოფლიოში აღიარებულ ქართველ კომპოზიტორ გია ყანჩელზე გადაღებული ფილმის პრემიერა კინოთეატრ „ამირანში“ 23 ნოემბერს, გიორგობის დღესასწაულზე გაიმართება.

ფილმის ავტორი თეონა ჯორბენაძეა. დოკუმენტურ ფილმს „სევდის ანგელოზები“ ეწოდება. ფილმი გია ყანჩელის 80 წლის იუბილესადმია მიძღვნილი.

ფილმის ჩვენებამდე კინოთეატრ „ამირანში“ გაიმართება მიღება და კონცერტი. გიორგი ცაგარელი ეროვნულ სიმფონიურ ორკესტრთან ნიკოლოზ რაჭველის დირიჟორობით შეასრულებს გია ყანჩელის ნაწარმოებებს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# კიბოთი დაავადებულმა გოგონამ სხეულის კრიოკონსერვაციას მიაღწია



კიბოთი დაავადებულმა ბრიტანელმა გოგონამ სასამართლოს ძალით მიაღწია საკუთარი სხეულის კრიოგენულ კონსერვაციას. 14 წლის გოგონას სურს, რომ ის მაშინ გააცოცხლონ, როდესაც მისი დაავადების განკურნებას შეძლებენ, იტყობინება ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა.

გოგონას მშობლები, რომელთა ვინაობა მითითებული არ არის, განქორწინებულები არიან. დედა შვილის სურვილს კრიოკონსერვაციაზე დაეთანხმა. მამა კი წინააღმდეგი იყო. უარის მიზეზი იყო პროცედურის ღირებულება – 37 ათასი ფუნტი სტერლინგი. მაშინ გოგონამ წერილით მიმართა უზენაეს სასამართლოს, რომელშიც დედის მზრუნველობის ქვეშ გადასვლა მოითხოვა.

– მე ჯერ მხოლოდ 14 წლის ვარ და სიკვდილი არ მინდა, მაგრამ ვიცი, რომ ეს უეჭველად მოხდება. მინდა დიდხანს ვიცოცხლო და დარწმუნებული ვარ, რომ მომავალში ჩემი დაავადების განკურნებას შეძლებენ და გამაღვიძებენ, – დაწერა გოგონამ.

ამის შემდეგ მოსამართლე პიტერ ჯექსონმა დაადგინა, რომ გოგონასთან დაკავშირებულ ყველა გადაწყვეტილებას მისი დედა მიიღებდა.

ამრიგად, გოგონა პირველი ბრიტანელი მოზარდი გახდა, რომლის სხეულმა კრიოგენული კონსერვაცია გაიარა. ის ამერიკის მიჩიგანის შტატის კრიონიკის ინსტიტუტშია მოთავსებული.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# მოდელმა ჯიჯი ჰადიდმა მელანი ტრამპის პაროდია გააკეთა



ამერიკელმა მოდელმა ჯიჯი ჰადიდმა ქვეყნის ახალ პირველ ლედის მელანი ტრამპს ემერიქენ მიუსიქ ევორდის ცერემონიის დროს სცენიდან დასცინა.

– მე მიყვარს ჩემი ქმარი, პრეზიდენტი ბარაკ ობამა და ჩვენი შვილები საშა და მალია, – განაცხადა ჰადიდმა სლავური აქცენტით, ტუჩების დაბერვით და თვალების მოჭუტვით.

21 წლის მანეკენმა, რომელიც ღონისძიების წამყვანი იყო, პრეზიდენტის მეუღლეზე იხუმრა 46 წლის ტრამპის სიტყვაში სავარაუდო პლაგიატზე მინიშნებით, რომელმაც მეუღლის წინასაარჩევნო კამპანიის დროს, თითქოსდა მიშელ ობამას ნათქვამის კოპირება მოახდინა.

ამ პაროდიამ, ურთიერთსაწინააღმდეგო რეაქცია გამოიწვია სოციალურ ქსელებში.

– ჯიჯი ჰადიდმა ყოველგვარი პატივისცემა დაკარგა, ამ წარმოუდგენლად უხეში „პაროდიის“ შემდეგ. საერთოდ არ იყო სასაცილო, – დაწერა ერთ-ერთმა ინტერნეტ-მომხმარებელმა.

– ჯიჯი ჰადიდის გამოსვლამ, ჩემი საღამო გაახალისა, ჰა-ჰა-ჰა, – დაწერა კომენტარში მეორე ინტერნეტ-მომხმარებელმა.

# დედამ ბიჭს პრინცესას კოსტიუმის ჩაცმის უფლება მისცა



ავსტრალიელმა ქალმა თავის ბიჭს უფლება მისცა, პრინცესას კოსტიუმი მოერგო დისნეის სტუდიის მულტფილმიდან. შვიდი წლის ბიჭმა ელზას სახე შეარჩია ანიმაციური ფილმიდან „ცივი გული“.

ბავშვის დედა, კლერ კრიუ, რომელიც სამხრეთ ავსტრალიის შტატის ერთ-ერთ დაწყებით სკოლაში მასწავლებლად მუშაობს, სამ შვილს გენდერული ნიშნით განურჩევლად ზრდის. ის ასევე იქცევა სასწავლო დაწესებულებაშიც, სადაც ბიჭებსა და გოგონებს ერთმანეთისგან არ ასხვავებს. ქალს არასწორად მიაჩნია რაიმე აქცენტების გაკეთება როგორც ბიჭებთან, ისე გოგონებთან მუშაობის დროს.

კრიუ ასევე თავისი ცხრა წლის გოგონასთვის ბიჭებისთვის განკუთვნილ სათამაშოებს ყიდულობს. ამავე დროს, ის ცდილობს, მის სახლში არ მოხვდეს თოჯინა ბარბი. მისი თქმით, ყოველთვის ითვალისწინებს ბავშვების სურვილებს, თუნდაც ასეთ დროს თავი არაკომფორტულად იგრძნოს.

# ქალმა ხმლით შეიარაღებული მძარცველი პლასტმასის ჩანგლით გააგდო

შოტლანდიელმა ქალბატონმა, რომელსაც ხელთ მხოლოდ პლასტმასის ჩანგალი ჰქონდა, გააგდო და გამოეკიდა ხმლით შეიარაღებულ მძარცველს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი სააგენტო ავრცელებს.

სასადილო, სადაც 23 წლის ჯულია კრაიტონი მუშაობდა, თავდასხმის ობიექტად იქცა. ერთი მძარცველი კართან დადგა, მეორე კი დახლისკან გაემართა და სალაროდან ფული მოითხოვა. ამ დროს მას ხელში დაახლოებით 60 სანტიმეტრი სიგრძის ხმალი ეჭირა.

– ის მოვიდა და მიბიძგა, პასუხად მეც ვუბიძგე, – განაცხადა გოგონამ ჟურნალისტებთან საუბარში, – ვფიქრობ მიხვდა, რომ ჩემგან ვერაფერს მიიღებდა.

როდესაც კრაიტონმა უარი თქვა ფულის მიცემაზე, ბოროტმოქმედებმა გადაწყვიტეს საქმე აღარ გაემწვავებინათ, მიტრიალდნენ და წასვლა გადაწყვიტეს. გოგონა მათ გაეკიდა. მისივე თქმით, მას სურდა გაეგო, თუ სად მიდიოდნენ.

შემთხვევის ადგილზე მისულმა პოლიციელებმა სასადილოს მახლობლად იპოვეს ჩანთა, რომელშიც ტანსაცმელი ეწყო და ხმალი. ნივთებიდან აღებულმა დნმ-ს ნიმუშებმა სამართალდამცავებს საშუალება მისცათ, მათი მფლობელების ვინაობა დაედგინათ და მძარცველი დააკავეს. სასამართლომ მას ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

**ქალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# სამგლოვიარო განცხადებები

გარდაიცვალა

## ჯუმბერ ჩიხლაძე



გარდაიცვალა 1932 წლის 27 დეკემბერს დაბადებული ჯუმბერ აკაკის ძე ჩიხლაძე. იგი იყო დამსახურებული შრომის ვეტერანი 1984 წლიდან და 1988 წლიდან „საქნავთობის“ სატამპონაჟო სამმართველოს უფროსი.

დიდ მწუხარებას გამოვთქვამთ მისი ოჯახის წევრები, ახლობლები და მეგობრები.

პანაშვიდი: 23 ნოემბერს.

დაკრძალვა: 24 ნოემბერს, 14 საათზე.

მისამართი: ვაჟა-ფშაველას 30, I სადარბაზო, IV სართული.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# პროგრამა

**ოთხშაბათი 23 ნოემბერი**

**06.00, 14.00** ტ/სერ. "**ფრანკლინი და ბეში**" **07.00** დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" **08.00** "მხიარული ფერმა" **08.40** "ტელემანი" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 22.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **12.20** ქართ/ფ "**ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა**" **15.00,** "X სტუდია" **16.30** "ეკონომეტრი" **17.00** "რეალური სივრცე" **19.00** ტ/სერ. "**ტრიუმფი**" **21.00** ტ/სერ. "**შურისძიება**" **23.00** საფეხბურთო მიმოხილვა **23.40** **ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის მატჩი **01.40** საფეხბურთო მიმოხილვა **02.00** მხ/ფ "**სწრაფები და შმაგები**"

**08.00, 17.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **09.00, 14.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** ქარ. მხ/ფ "**ნუცას სკოლა**" **12.00** ტ/სერ. "**გულის მუსიკა**" **13.00** ქარ. დ/ფ გზა მაცხოვრისა" (რეჟ: მ.ბორაშვილი) **15.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00** ტ/სერ. "**ლოს ანჯელესის პოლიცია**" **23.00** "ნამდვილი დრო" **23.45** **ფეხბურთი** – ჩემპიონთა ლიგა" ჯგუფური ტურნირი

**06.30, 16.00** სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.30** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ერთი სიყვარულის ამბავი**" **11.20** სერ. "**სიყვარულის ჟამი**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**ფიცი**" **17.35** სერ."**პატარძალი**" **18.50, 19.03** სერ. "**ღირსების სახელით**" **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.30** სერ. "**ჰეროკრატია (9+1)**" **00.30** მხ/ფ "**ანჟელიკა ანგელოზების მარკიზა**" **02.45** მხ/ფ "**პრადა და ბრძნობები**" **04.30** მხ/ფ "**კამილა კლოდელი**"

**06.00** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **06.45** სერ. "**გაბრიელა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**წითელი და შავი**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**ცხოვრების გზები**" **18.50** სერ. "**ოქროს გალია**" **19.55, 20.05** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **22.00** სერ. "**ხელოვნური სუნთქვა**" **23.00** ნანუკას შოუ **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

**8.00** ან/ფ "**ფანზოი და ჩამჩამი**" **9.00, 19.00** სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" **10.00, 18.00** სერ. "**სკანდალი**" **11.00** სერ. "**კერძო პრაქტიკა**" **13.00, 2.05** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **15.00** გვიანი შუადღე **17.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **20.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.30 20.30 22.00** სერ. "**ლურჯის ელფერები**" **23.00** სერ. "**მისტერ რობოტი**" **0.00** მხ/ფ "**სუინი ტოდი - დემონი-დალაქი ფლიტ-სტრიტიდან**"

**06.15** დროის ჩანაწერები **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.30** ჩვენი ფონდი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.30** დ/ფ "სათავეებთან-ქართული ანბანი" **11.20** ბიბლია ბავშვებისათვის **11.30** მგზავრები წუთისოფლისა **12.10** ღია აუდიტორია **13.00** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** გამოყენებითი ხელოვნება "ქართული ხმლები" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ანიმაციური ფილმი **15.30** დ/ფ "მსოფლიო საგანძური" **15.45** კონცერტი "კამერული მუსიკის ფესტივალი სალხინოში" **16.45** დ/ფ "წმინდა დიდმოწამე გიორგი" **17.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**ფესვები**" **20.40** ძილი ნებისა "ტომი და ჯერი", "კოიოტი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ღვთის სახლი **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** ჩვენი ფონდი "ელენე კავლელაშვილი-ბოჭორმის წმინდა გიორგის ხატი" **00.25** ისტორიის დღიური **01.00** დ/ფ "წმინდა გიორგი" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

**მაესტრო** **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **8.00** სერ. "**კარმელიტა**" **10.00** სერ. "**ეკატერინა**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 23.30** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 1.00** სერ. "**ორი გული**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.00** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.50, 2.30** სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**" **19.55** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.55** სერ. "**ვინ თუ არა მე**" **21.55** სერ. "**გემი**" **22.40** სერ. "**ესკობარი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


23 ნოემბრისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4903

ევრო — 2.6497

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.074

100 რუსული რუბლი — 3.8766

## ამინდის პროგნოზი 23 ნოემბრისთვის




# 22 ნოემბრიდან

## მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

## ონორე დე ბალზაკი

## მამა გორიო



ონორე დე ბალზაკის „მამა გორიოს" ზოგი „ადამიანურ კომედიას", ზოგი კი „ადამიანურ ტრაგედიას" უწოდებს. მამა გორიო არ არის უბრალოდ მამა. ის არის მამა-მოწამე, რომელიც მოსწყდა თავის საქმეს, უარი თქვა ყოველგვარ პირადულზე და თავი საკუთარ ქალიშვილებს მიუძღვნა.

ბალზაკი ზოგჯერ დასცინის, ზოგჯერ ცრემლებს ღვრის გორიოს გამო. და მაინც, რა იყო მამა გორიოს მთავარი შეცდომა? ამ კითხვაზე პასუხი ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ თავად უნდა მოვძებნოთ.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

# 24 ნოემბრიდან

## ბიბლიური იგავები



გადაშალე ეს მშვენიერი წიგნი და იმოგზაურე ულამაზეს ბიბლიურ სამყაროში. შეხვდი კეთილ სამარიტელს, მოუსმინე მოწყალე მეფეს, ნახე, როგორ ეგებება მამა დიდი ხნის დაკარგულ შვილს, გაიგე, როგორ მიატოვა მწყემსმა მთელი ფარა ერთი დაკარგული ცხვრის პოვნის გამო.

ეს ბიბლიური იგავებია სიბრძნით სავსე, ხალისიანი და დამაფიქრებელი ამბებით.

ეს შენი წიგნია, სავსე ცოდნითა და ხალისით.

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**

# იუმორი



ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– როგორი სიდედრი გყავს?

– ნამდვილი განძია.

– ვაა, მასეთი კარგია?

– აბა რა, მეშინოდა, რომ არავის მოეპარა და წინა შაბათს მიწაში ჩავფალი...

●●●

ბიჭი პირველ პაემანზე გოგოს ეკითხება:

– ჩემამდე ბიჭი გყავდა?

– ბიჭი არა, ორი გოგო მყავდა, მაგრამ ახლა ბებიასთან არიან სოფელში.

●●●

კარზე აკაკუნებენ. მასპინძელი კითხულობს:

– ვინ არის?

– უკაცრავად, გიგი აქ ცხოვრობს?

– არა.

– როგორ არა, თქვენ გიგი არ ხართ?

– გიგი კი ვარ, მაგრამ შენ ამას ცხოვრებას ეძახი?

●●●

ბიჭმა გოგო დაპატიჟა რესტორანში და ეკითხება:

– მშრალ ღვინოს დალევ?

– რა ვიცი, ცოტა დამიყარე.

●●●

ადრე, გაცნობის მიზნით, ბიჭი გოგოს ეკითხებოდა:

– უკაცრავად, რომელი საათია?

დღეს კი პირიქით ხდება, გოგო ეკითხება ბიჭს:

– უკაცრავად, საათი ხომ არ გაინტერესებთ???

●●●

საცეკვაო მოედანზე გოგო ბიჭს ეკითხება:

– უკაცრავად, თქვენ ცეკვავთ?

– დიახ!

– მადლობა ღმერთს, თორემ მეგონა დენმა დაგარტყათ!

●●●

ტელეფონის ზარი:

– უკაცრავად, ეს ცენტრალური საარჩევნო კომისიაა?

– დიახ, რა გნებავთ?

– პრეზიდენტობა მინდა!

– გიჟი ხარ?

– ეგ აუცილებელი მოთხოვნაა?

●●●

პარკში ერთი მამაკაცი მეორეს ეუბნება:

– როგორ არ გრცხვენიათ, თქვენ აქ ბუჩქებში იმალებით, ვითომც არაფერი მომხდარა და თქვენი ძაღლის გამო ქალი ხიდან ვერ ჩამოსულა. ისიც ხომ ვილაცის დედაა!

– ჩემი ცოლის დედაა...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.




# 25 ნოემბრიდან




## პირველად ქართულ ენაზე!

## ყბები

პიტერ ბენჩლის ლეგენდარული ტრილერი

გაუმაძღარი უზარმაზარი თეთრი ზვიგენი ემიტი აილენდის მცხოვრებლებს ატერორებს.

ოკეანოლოგი, პოლიციის უფროსი და ზვიგენებზე მონადირე ამ სისხლისმსმელი არსების დასამარცხებლად იბრძვიან.

**ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი**

## კრიშტიანო რონალდუმ ზიდანი შეაქო



მადრიდის რეალის ლიდერმა კრიშტიანო რონალდუმ თავის მწვრთნელ ზინედინ ზიდანზე ისაუბრა და თქვა, რომ ფრანგი ფეხბურთელი მისი კერპი იყო.

– ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ზიდანი ფეხბურთს თამაშობდა, მე აღფრთოვანებული ვიყავი მისი შესაძლებლობებით. ამჟამად ის ჩემი მწვრთნელია და ეს საქმე მას ისევე კარგად გამოსდის, როგორც ფეხბურთის თამაში. მიხარია, რომ ზიდანთან ერთად ვმუშაობ და, დარწმუნებული ვარ, ერთად კიდევ ბევრ წარმატებას მივაღწევთ, – განაცხადა რონალდუმ.

ამჟამად რეალი ესპანეთის ჩემპიონატში პირველ ადგილზეა და ბარსელონას 4 ქულით უსწრებს.

## ბარსელონა მილანის ფეხბურთელს აკვირდება

ბარსელონის სპორტული დირექტორი რობერტ ფერნანდესი კვირას გამართულ მილანურ დერბის დაესწრო, რისი მიზეზიც მილანის ფეხბურთელი მატია დე შილიოა, რომელსაც ბარსელონა აკვირდება.

დე შილიო ალეშ ვიდალის შემცვლელად მოიაზრება, რომელიც, სავარაუდოდ, ბარსელონას ზამთარში დატოვებს.

ბარსელონა მილანის მცველით ზაფხულშიც იყო დაინტერესებული, მაგრამ მაშინ ეს ტრანსფერი არ შედგა. ამჯერად საქმე უფრო სერიოზულად არის, თუმცა ბარსელონას მილანისთვის ოფიციალური წინადადებით ჯერჯერობით არ მიუმართავს.

დე შილიოს მილანთან კონტრაქტი 2018 წლამდე აქვს გაფორმებული და წლევანდელ სეზონში ის მილანის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელია.

## მანჩესტერ სიტი მესიში 233 მილიონ ევროს იხდის



მანჩესტერ სიტისა და ხოსეპ გვარდიოლასთვის წლევანდელ ზაფხულში მთავარი პრიორიტეტი ლიონელ მესის ყიდვა იქნება.

ბრიტანული პრესის ინფორმაციით, სიტი მზად არის, ბარსელონას 233 მილიონი ევრო გადაუხადოს ამ ტრანსფერში, ხოლო თვითონ მესის ანაზღაურება წელიწადში 25 მილიონი ევრო იქნება.

მესის ბარსელონასთან კონტრაქტი 2018 წლამდე აქვს გაფორმებული და ის ჯერჯერობით ახალი კონტრაქტის გაფორმებას არ ჩქარობს, რაც მანჩესტერ სიტის იმედს აძლევს, რომ მესი ბარსელონიდან წავა.

ხოსეპ გვარდიოლას ოცნებაა, რომ მან არგენტინელ სუპერვარსკვლავთან ერთად ისევ იმუშაოს.

## იბრაჰიმოვიჩს სტოკჰოლმში ძეგლს დაუდგამენ

ზლატან იბრაჰიმოვიჩს სტოკჰოლმში მალე ძეგლს დაუდგამენ.

იბრაჰიმოვიჩის ძეგლი ერთ-ერთ არენაზე იქნება და მასზე მუშაობა რამდენიმე თვეში უნდა დასრულდეს.

ზლატანმა ამაზე კომენტარი გააკეთა და თქვა, რომ ცოტაა ისეთი ადამიანი, რომლებსაც სიცოცხლეშივე უდგამენ ძეგლს.



იბრას აზრით, მან ეს პატივი დაიმსახურა.

ზლატანმა შვედეთის ნაკრების შემადგენლობაში 116 შეხვედრა ჩაატარა და 62 გოლის გატანა შეძლო. იბრამ ნაკრებში კარიერა 2016 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ დაასრულა, სადაც შვედებმა ცუდად ითამაშეს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კარიმ ბენზემა საფრანგეთის ნაკრებში ბრუნდება

მადრიდის რეალისა და საფრანგეთის ნაკრების ფორვარდი კარიმ ბენზემა მატიო ვალბუენასთან დაკავშირებული სკანდალის გამო შარშან ნაკრებიდან მოკვეთეს, რის გამოც ბენზემამ ევრო 2016 გამოტოვა.



2015 წლის ოქტომბრის შემდეგ ბენზემას საფრანგეთის ნაკრებში არ უთამაშია, თუმცა, როგორც დიდიე დეშამმა განაცხადა, ის არ არის წინააღმდეგი, რომ ბენზემა დაბრუნდეს და ნაკრების შემდეგი თამაშებისთვის ის ბენზემას ისევ გამოიძახებს. თვითონ ფეხბურთელს ამ საკითხთან დაკავშირებით ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია.

კარიმი მძიმედ განიცდიდა ნაკრებში არყოფნას, ამიტომ ეს მისთვის ძალიან სასიხარულო ამბავი იქნება.

# კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. მხარე გერმანიაში; 2. ხმის ჩასახშობი მოწყობილობა ჩასაბერ მუსიკალურ ინსტრუმენტებში; 3. გულის კუნთოვანი კედელი; 4. უბანი თბილისში; 5. ვეშაპებზე სანადირო სატყორცნი იარაღი; 8. საოჯახო ნივთების შესანახი სახურავიანი ხის ყუთი, სკივრი; 9. ციხე-სიმაგრე ალგეთის ხეობაში; 12. დიდი თევზსაჭერი გემი; 13. ისტორიული ტაოს კულტურულ-ადმინისტრაციული ცენტრი; 16. მარტვილის ძველი სახელწოდება; 17. ფრანგული იავნანა; 19. ქართული ტელეკომპანია; 20. საგანგებოდ გამოყვანილი, დამარილებული ღორის ხორცი.

**თარაზულად**: 6. წყნარი ოკეანისპირა ნავსადგური კანადაში; 7. იმერეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 8. უღელტეხილის ძველი ქართული სახელწოდება; 10. ხატვის ერთ-ერთი ჟანრი; 11. ცეცხლსასროლი იარაღის წარმოების ერთ-ერთი ცენტრი გერმანიაში; 14. ანდალუზიელი ბოშების საცეკვაო-სასიმღერო სტილი; 15. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური გერმანიაში; 18. უძველესი აკადემია კახეთში; 21. მაღალმთიანი კურორტი გურიაში; 22. საქართველოს რაგბისტთა ნაკრების მწვრთნელი; 23. ბუნებრივი ნაკრძალი ქვემო ქართლში; 24. სამონასტრო კომპლექსი ქვემო ქართლში.




*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*


ლურჯი წითელი ყვითელი შავი